ვერსია

№42 (1683) 8 — 14 ნოემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

85 მილიარდ 370 მილიონი ლარი — 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დეტალები

რა ფინანსური პრიორიტეტები გამოკვეთა მთავრობამ მომდევნო წელს

ქართველი პოლიციელების დატყვევებიდან — ბუნტურის მკვლელობამდე

რუსი ოკუპანტების პროვოკაციების ანატომია

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ვინ და რატომ დაუსერა სახე ცნობილ პლასტიკურ ქირურგს

ყოფილი კრიმინალისა და სამართალდამცავის მეგობრობის ისტორია

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილი ხალხს აბნევს!“

„არ არსებობს საქართველოში მოსახლეობა, რომელიც ქუჩაში გამოვა და პრორუსულობას დაიცავს“

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან, რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

სამართალდამცველები ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ლენტეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი 1976 წელს დაბადებული გ.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახლად სდანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, რობინ დანიგანს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, რობინ დანიგანთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) საქართველოს ოფისის დირექტორი სარა რუპერტი და აშშ-ის საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების სამსახურის (RSO) უფროსი ჯეიმს ულინი.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, ვახტანგ გომელაურმა რობინ დანიგანს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

მხარეებმა საქართველოსა და აშშ-ის შორის არსებულ მჭიდრო და ნაყოფიერ ურთიერთობებზე ისაუბრეს და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხი განიხილეს.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში აშშ-ის მთავრობის მიერ შეტანილი წვლილისთვის.

მხარეებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, მინისტრმა ყურადღება გაამახვილა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკოდანაშაული და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

შეხვედრის დასასრულს მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ორ ქვეყანას შორის წლების განმავლობაში არსებული სტრატეგიული პარტნიორობა და ორმხრივი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით მძიმე დანაშაულებისთვის ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, აშშ-ს საელჩოს დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის – რეგიონული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, არაერთი მძიმე დანაშაულისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე დააკავეს.

დაკავების ორდერი მოიცავს ოთხ ბრალდებას ტეხასის შტატიდან: არასრულწლოვანი ბავშვის უწყვეტი სექსუალური შევიწროება, დამამძიმებელ გარემოებებში არასრულწლოვან ბავშვებზე (14 წელს ქვემოთ) სექსუალური ძალადობა, ოჯახის წევრზე თავდასხმა სასუნთქი გზების დახშობით (გაგუდვის მცდელობით) და დამამძიმებელ გარემოებებში სიცოცხლისთვის საშიში იარაღით თავდასხმა. დაკავების ორდერში ასევე შედის ლუიზიანას შტატის შვიდი ბრალდება: ყალბი საჯარო ჩანაწერების წარდგენის, თაღლითური გზით დოკუმენტების გაყალბებისა და ორი ქურდობის ბრალდება 5 000 აშშ დოლარიდან 25 000 აშშ დოლარამდე.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული საქართველოში 2023 წლის აპრილში შემოვიდა. საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდებოდა. ბრალდებულზე საერთაშორისო ძებნა 2023 წლის 27 ივნისიდან, ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ, წითელი ცირკულარით გამოცხადდა. საქართველო, როგორც ინტერპოლის წევრი ქვეყანა, აქტიურად ჩაერთო სამძებრო ოპერაციაში.

პოლიციის მიერ ინტენსიურ რეჟიმში ჩატარდა ყველა საჭირო ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და აშშ-ს საელჩოს დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის – რეგიონალური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, მოხდა დამნაშავე პირის ადგილსამყოფლის დადგენა და მისი დაკავება.

ამ დროისთვის დაკავებული გადაყვანილია პენიტენციურ დაწესებულებაში და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

ქართველი პოლიციელების დატყვევებიდან – ბუნტურის მკვლელობამდე

ვანო პავლიაშვილი

რუსი ოკუპანტების პროვოკაციების ანატომია

რუსულ ოკუპაციას კიდევ ერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა – 2023 წლის ნოემბერს, რუსმა ოკუპანტებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის მკვიდრი თამაზ ბუნტური მოკლეს. მეორე ქართველი კი გაიტაცეს. ჩვენი თანამემამულეები ტაძარში სალოცავად იყვნენ ასულები და მტერი თავს სწორედ მაშინ დაესხა. „ერთმორწმუნე“ ოკუპანტი ქართველებს ლოცვის საშუალებასაც აღარ აძლევს... ზოგი თვლის, რომ ეს პროვოკაცია იყო. შესაძლოა, ასეც არის... ისე, წლების განმავლობაში, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ოკუპანტები და ე.წ. ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი პროვოკაციებს აწყობენ. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 2004 წლის აგვისტოს, ასე ვთქვათ, ინციდენტი, როცა ცხინვალის მისადგომებთან ქართველი პოლიციელები დაატყვევეს. რა მოხდა მაშინ? – „ვერსია“ არქივიდან გთავაზობთ შინაგანი ჯარის ყოფილი სარდლისა და მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი ხელმძღვანელის, გენერალ გოგი თათუხაშვილის ინტერვიუს...

– 2004 წელს, როცა ცხინვალზე იერიში განხორციელდა, შინაგანი ჯარის სარდალი იყავით. მართალია, მაშინ ყველაფერი ეს, ფართომასშტაბიან ბრძოლაში არ გადაიზარდა, მაგრამ ბევრი დაიღუპა, ბევრიც დაატყვევეს. დაჩოქილი ქართველი მებრძოლებიც გვახსოვს... ზოგი ამბობს, ეს „ვარდების ხელისუფლების“ პროვოკაცია იყოო... მეტყვით, ბატონო გოგი, რეალურად რა მოხდა?

– სამაჩაბლოში კონფლიქტი პრეზიდენტის გეგმებში არ შედიოდა. იმხანად უკვე იყო ჩატარებული დიდი სამუშაო, რათა სამაჩაბლოშიც აჭარის მსგავსი მშვიდობიანი ოპერაცია განხორციელებულიყო, მაგრამ პრეზიდენტს გორიდან მიაწოდეს ინფორმაცია, რომ გენერალი ნაბზდოროვი ქართულ საგუშაგოებზე თავდასხმას აპირებდა.

– ეს ინფორმაცია სააკაშვილს ვინ მიაწოდა?

– ვინ და, სუხიტაშვილმა, ქარელმა და ოქრუაშვილმა. სწორედ ამის შემდეგ მივიღე ბრძანება, რომ შინაგან ჯარს კონფლიქტის ზონაში არსებული პოლიციის საგუშაგოები დაეცვა. ჩვენი გამოჩენით გაკვირვებული ქართული ორიენტაციის ოსები ცხინვალიდან ჩემთან იმის გასაგებად მოვიდნენ, თუ რა ხდებოდა. ვუთხარი, გვაქვს ინფორმაცია, რომ ნაბზდოროვს ჩვენი პოლიციის საგუშაგოებზე უნდა თავდასხმა-მეთქი. დახმარება შემომთავაზეს. მივუგე, ნაბზდოროვს მე მივხედავ, თქვენ კი უფრო დიდი საქმისთვის ხართ საჭირონი– მეთქი.

სწორედ ამ მიზეზით მომიწია სამაჩაბლოში დაბრუნება, ისევ შინაგან ჯართან ერთად, ოღონდ ახლა – სარდლის სტატუსით. საშინელი სურათი დამხვდა – სამშვიდობო ბატალიონი, ხუთასის ნაცვლად, ას კაცს ძლივს ითვლიდა. არც ტრანსპორტი ჰქონდა, არც – შეიარაღება-ამუნიცია, ხელფასიც გაყინული იყო... მეტიც, 1992 წელს მოწყობილი სამშვიდობოთა პოსტები – ვანათი, ნული და სხვა სტრატეგიული ადგილები, რომელთა ნაწილი პირადად ჩემი ინიციატივით იყო გაკეთებული, გაყიდული იყო.

– რას ჰქვია, სამშვიდობოთა პოსტები გაყიდული იყო?

– ორიოდ სიტყვით ვიტყვი: 1992 წელს, ოთხმხრივი ხელშეკრულების თანახმად, სამშვიდობო ზონაში ქართულ სამშვიდობო ძალებს დისლოკაციის მხოლოდ სამი ადგილი – ვანათი, ნიქოზი და დირბი მიეცათ, რაც გავაპროტესტე და ვთქვი, უსამართლობაა, ქართულ მხარეს დისლოკაციის მხოლოდ სამი ადგილი ჰქონდეს, ოსებს კი – სტრატეგიულად გათვლილი ადგილები-მეთქი. ჩვენსკენ კეხვი-თამარაშენისა და ზნაურის მიმართულება დაუცველი რჩებოდა. საბოლოოდ, იმას მივაღწიე, რომ სამშვიდობო ძალების სარდლობამ კეხვი-თამარაშენის ზონის დაცვაც ჩვენ გვანდო (მეთაური, კაპიტანი გიორგი მაღალდაძე). სოფელ ნულზე თავდასხმის შემდეგ კი, როცა სოფლის დაცვა ოპერატიულად შევძელით და ოსები გავაქციეთ, სოფელი ნულიც დავიმატე, სადაც კაპიტან ვეფხია ბიჩინაშვილის ოცეული ჩადგა. სხვათა შორის, ვეფხია 1992 წელს გმირულად დაიღუპა. მის შემდეგ კი ოცეულს ლეიტენანტი ვაჟა ძამანაშვილი მეთაურობდა. ასევე, მივაღწიე, რომ მაიორ ბესარიონ აფციაურის მეთაურობით, სოფლები – ატოცი და კნოლევი დაგვეცვა. ამ მიმართულებაზე, კერძოდ, აბანოთუბანში ოცეული დავაყენეთ, რომელსაც კაპიტანი ვალერი კაკაურიძე ხელმძღვანელობდა. ზნაურის ზემოთა სოფლების დაცვის უფლებაც ვითხოვე, მაგრამ არ მომცეს. ასევე, „ვიჭიდავე“ გრომზე, რადგან გრომის ზემოთ ქართული სოფლები იყო, მაგრამ არ გამომივიდა.

ამასთან, დავასაბუთე და მოვითხოვე, არწევში (ლეიტენანტი გიორგი დემეტრაშვილი), მეჯვრისხევში (ლეიტენანტი იოსებ ბახუტაშვილი) და თლიაყანაში (კაპიტანი გოჩა ჩოკოშვილი, მოკლულია რუსული სპეცსამსახურების მიერ) ჩვენი ოცეულების განლაგების საჭიროება და დავდექით.

რაც შეეხება 2004 წელს, სხვა საგუშაგოების მსგვასად, ვანათის საგუშაგოც გაყიდული დამხვდა ანუ იქ სამშვიდობო ძალები აღარ იდგნენ და, შესაბამისად, სოფელი და წყალსაცავიც დაუცველი იყო. ამიტომაც დაცვის პოლიციის ოცეული ჩავაყენეთ, რომელიც შემდეგ დაატყვევეს.

– ამ ოცეულს რა ევალებოდა?

– რა და, ობიექტების, კონკრეტულად, სოფელ ვანათთან, წყალსაცავის დაცვა. ე.წ. დამსვენებელი ჯგუფი იქვე, სოფელ ვანათში მდებარე სახლში რჩებოდა.

2004 წელს, როცა შინაგანი ჯარის სარდალი ვიყავი, ჯარისკაცები, ოფიცრები და საერთოდ, მთელი დანაყოფები შინაგან ჯარში გადმოყვანას ითხოვდნენ. ერთხელ, მიშამაც მითხრა, რომ მესაზღვრეების სპეცრაზმი მთლიანად ჩემს დაქვემდებარებაში გადმოსვლას ითხოვდა. ანალოგიური სიტუაცია იყო დაცვის პოლიციაშიც. მოკლედ, გადაწყდა და ეს ტრადიცია ჩემ შემდეგაც გაგრძელდა ანუ დაცვის პოლიციის შენაერთები შტატობრივად ადგილზე რჩებოდნენ, თუმცა სპეცმომზადებას შინაგან ჯარში გადიოდნენ (შინაგანი ჯარის დაშლის შემდეგ, მომზადებას დღემდე მის მემკვიდრე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში გადიან). სწორედ ასეთი ახლადდანიშნულთა დანაყოფი იყო ის ოცეული, რომელიც ტყვედ აიყვანეს. ოცეულის წევრებს ფორმები და საბუთებიც შესაბამისი ჰქონდათ...

ჯავშანტექნიკით შეიარაღებული თავდამსხმელების დანაყოფი, რუსული სამშვიდობო ძალების საგუშაგოს გავლით ანუ შეთანხმებით, ქართულ სოფელში შევიდა და პოლიციელები უკანონოდ დააპატიმრა. ეს, რასაკვირველია, ფსბ-ს დაგეგმილი ოპერაცია იყო, რომლის მთავარი შემსრულებელიც დმენისის პოლიციის უფროსი ბიბილოვი გახლდათ – „უბედური შემთხვევით“, ტუალეტში აფეთქდა, მისი ხსოვნა იყოს.

ჯარისკაცების თქმით, ღამით ტექნიკის ხმა გაიგონეს, მეთაური იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა, გარეთ გავიდა. უკან დაბრუნებულმა კი ბრძანება გასცა, რომ იარაღი ჩაებარებინათ და მანქანებში ჩამსხდარიყვნენ.

რუსული მედიის ცნობით, 50 პოლიციელი იყო. პრორუსული პრესა კი ამტკიცებს, რომ 60 პოლიციელი იყო. რეალურად, ეს ერთი საშტატო ოცეული გახლდათ.

დაზვერვის ინფორმაციით, მეთაურ სურმავას (ყოფილი სურმაევი) მამას და დმენისის პოლიციის უფროს ბიბილოვს საერთო ბიზნესი ჰქონდათ. ბიბილოვი ე.წ. სურმავას ხშირად ხვდებოდა. ამოცანა და მომხდარი გასაგებია...

ისე, 1992 წელს, ანალოგიურ შემთხვევა მეც მქონდა: ხეთაგუროვო-ნული-ავნევის გადასახვევთან, ღამე, მოწინააღმდეგის მხრიდან მძიმე ტექნიკის ხმა გავიგონეთ, რომელიც თანდათან გვიახლოვდებოდა. მივიღე გადაწყვეტილება – მეომრები პოზიციებზე განვალაგე და გავაფრთხილე, თუ ჩხუბი და სროლა დავიწყე ან დავწექი, მოწინააღმდეგეს მაშინვე ანადგურებთ-მეთქი. მოსულებს მარტო შევხდი, რუსები აღმოჩნდნენ, ვილაპარაკეთ და წავიდნენ.

ასევე, 1992 წელს, ჩემი ასეული განლაგებული იყო დირბის სატყეო ზოლში. მე ზემო ნიქოზში მდებარე შტაბში ვიყავი გასული. ახალი ჩამდგარი ვართ, ჩვენი შეიარაღება მხოლოდ ავტომატებია – ორ-ორი მჭიდით. ტერიტორია წინასწარ შეძლებისდაგვარად გავამაგრეთ. როგორც მითხრეს, ჩვენი ბაზისკენ ოსური მძიმე ტექნიკა წამოვიდა, მაგრამ ჩვენმა ჯარისკაცებმა „მოლოტოვის კოქტეილებით“ კუდით ქვა ასროლინეს. ხომ გაიგიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო და მაშინვე „ვეცი“ სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ფილატოვს. ვიჩხუბეთ, საბოლოოდ, ოსური მხარე დასაჯა, ჩვენ კი ტანკსაწინააღმდეგო „სპგ-9“ და სამი ყუმბარმტყორცნი გვაჩუქა.

რაც შეეხება ტყვედ ჩავარდნას, დაჩოქებას და ამ თემის აჟიტირებას, ყველა სამხედრომ იცის, როცა ტყვედ ვარდება, ყველაზე მინიმალური ხელების აწევა, დაჩოქება და მიწაზე დაწოლაა (სხვა საშინელებებზე აღარ ვილაპარაკებ, შეიძლება, სიკვდილიც სანატრელი გახდეს). ამისთვის ყველა მზად უნდა იყოს. ამიტომაც, თუ შესაძლებელია, რა თქმა უნდა, სჯობს, ბოლომდე იბრძოლო და გმირულად დაიღუპო, ვიდრე ტყვედ ჩაბარდე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, მაგრამ ყველა თავის გადაწყვეტილებასა და სიცოცხლეზე თავადაა პასუხისმგებელი.

მეთაურზეც, ცხადია, ბევრია დამოკიდებული. სხვათა შირის, აფხაზეთში ბევრს და, მათ შორის, მეც მომსვლია კონფლიქტი თბილისიდან დანიშნულ წყალ-წყალა მეთაურებთან. არაერთხელ გვითქვამს, მეთაური აღარ ხარ და შენთვის იყავი. მეთაური ის იქნება, ვისაც ავტორიტეტი აქვს და გადაწყვეტილების მიღება შეუძლიაო.

– ამით რისი თქმა გინდათ, გოგი ბატონო?

– 2004-ში, ერედვი-თამარაშენის შემოვლით გზაზე, რომელსაც პირველი ბრიგადის ერთ-ერთი ასეული იცავდა, ღამით თავდასხმა მოხდა. მეთაურობა საკუთარ თავზე ოცმეთაურმა, ლეიტენანტმა თამაზ ყალიჩავამ აიღო და ასეულმაც სწორედ მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ სერიოზული შეტევა უდანაკარგოდ მოიგერია. მაშინვე დავნიშნე ასმეთაურად, წოდებაც მივანიჭე და „გორგასლითაც“ დაჯილდოვდა... გორის სამხარეო პოლიციის მაშინდელმა უფროსმა, ალეკო სუხიტაშვილმა მეორე დილით მოიყვანა ტელევიზიები და ადგილიდან „ჰეროიკულ-საგმირო“ ინტერვიუ მისცა, თუ როგორ „მოიგერია“ შეტევა...

დასასრული მე-15 გვერდზე

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილი ხალხს აბნევს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„არ არსებობს საქართველოში მოსახლეობა, რომელიც ქუჩაში გამოვა და პრორუსულობას დაიცავს“

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა, რომ გადამწყვეტი კვირა მოდის საქართველოსთვის – 8 ნოემბერს, გაფართოების პირველი ანგარიში გამოქვეყნდება და მიმდინარე წლის ბოლოს, დეკემბრის შუა რიცხვებში, ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ. ელჩი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ძალიან დიდი სურვილია, ევროკავშირს დაუახლოვდეს.

„8 ნოემბერს, ყველა ვნახავთ გაფართოების პირველ ანგარიშს, ეს მხოლოდ დამსახურებაზე დაფუძნებული ანგარიში იქნება, რომელიც აჩვენებს იმას, თუ სად მიაღწია საქართველომ პროგრესს და სად არის საჭირო შემდგომი პროგრესი. ეს ანგარიში იქნება რეკომენდაცია ევროკავშირისთვის, ხოლო 14 და 15 დეკემბერს, გადაწყვეტილებას ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო მიიღებს.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ძალიან დიდი სურვილია, რომ ევროკავშირს დაუახლოვდეს, ამაზე მთავრობაც და ოპოზიციაც თანხმდება. დაველოდოთ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველი დღე მნიშვნელოვანია და დრო არ უნდა დაიკარგოს“.

23 ივნისს, ევროკავშირის საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და მზადაა, კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდება. უკრაინასა და მოლდოვას კი, კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ.

8 ნოემბერს გახდება ცნობილი, გასცემს თუ არა ევროკომისია რეკომენდაციას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამ დასკვნის შემდეგ, 2023 წლის ბოლომდე, საქართველოსა და სხვა ქვეყნების პროგრესს უკვე ევროპული საბჭოს ლიდერები შეაფასებენ. აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ ანალიტიკოს პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა:

– მაინც დადებითი განწყობა მაქვს, თუმცა არა აბსოლუტური – 60/40... 60% – მოგვცემენ სტატუსს და 40% – შეიძლება, ახალი პირობით გადაგვივადონ ანუ არა საბოლოო უარი გვითხრან, არამედ, კიდევ მოგვცენ დრო, მაგალითად, არჩევნებამდე... მაგრამ, მაინც იმედი მაქვს, რომ ახლა მოგვცემენ სტატუსს. ვისაც კონტაქტები აქვს ბრიუსელთან, აქვს განწყობა, რომ დასაჯეს საქართველო უსამართლოდ, მოლდოვასა და უკრაინასთან შედარებით. არც მოლდოვა და არც უკრაინა არ იმსახურებდა იმ დროს კანდიდატის სტატუსს, მაგრამ მათ მისცეს და საქართველო სულაც არ ჩამორჩებოდა ბევრი პარამეტრით ამ ორ ქვეყანას, გარკვეული პარამეტრებით წინაც კი იყო და ამიტომ მიაჩნიათ, რომ უნდა დააწინონ საქართველო მოლდოვასა და უკრაინას. მით უმეტეს, საქართველოსთვის სტატუსზე უარის თქმა ნიშნავს მთელი კავკასიის ჩაკეტვას და ეს წარმოშობს უფრო რთულ პრობლემებს, ვიდრე თავის დროზე რომ ეთქვათ უარი მოლდოვასთვის ან უკრაინისთვის.

ამიტომ, სხვადასხვა პარამეტრიდან გამომდინარე, მაინც მგონია, რომ უნდა მოგვცენ სტატუსი.

– რატომ გაქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა, გადაგვივადონ სტატუსის მონიჭება?

– მგონია, რომ საბოლოო უარს არ იტყვიან მაინც, ღმერთმა დაგვიფაროს! არ ჩანს ამის პირობა, მაგრამ გადავადება შეიძლება, რადგან საქართველოს ხელისუფლება უტიფრად იქცევა და აშკარად ჩანს, რომ არ უნდა სტატუსი. თუ ისინი გვაძლევენ სტატუსს იმიტომ, რომ ქართველი ხალხია ამისთვის მზად და დიდი მოლოდინია, მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური გამოწვევებია, თუ საქართველოს უარს ეტყვიან საბოლოოდ. მაშინ, მთელი კავკასია იკეტება და დადგება „რუსული ზამთარი“, „რუსული ღამე“. ამიტომ, უნდა მისცენ შანსი ქართველ ხალხს, რომ იბრძოლოს შემდეგ სართულზე...

აქ ძალიან მნიშვნელოვანია ერთი ნიუანსი, რაზეც ნაკლებად ვლაპარაკობთ – ქართველი ხალხი მაინც იბრძვის კანდიდატობისთვის. კანდიდატის სტატუსი არის დასაწყისი ევროპაში სვლისთვის, ეს არის პირველი სართული, პირველი კარი და თუ ისინი განაგრძობენ ბრძოლას პირველ სართულზე, მოდი, მივცეთ საშუალება მეორე სართულზეც ირძოლონ. მივცეთ მეტი შანსი მოქმედებებისა... მგონი, მართლები არიან და ჩვენც ამას ვთავაზობთ, რომ მაინც ვიბრძოლებთ, რადგან ბრძოლისუნარიანობა ქართველ ხალხშია...

– ბოლო დროს, სოციალურ ქსელში გააქტიურდა დისკუსია თემაზე – რა აზრი აქვს სტატუსის მიღებას, თუ რეფორმები არ გატარდა... რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნისთვის ამ სტატუსის მინიჭება და შემდეგ რა ეტაპებია გასავლელი ევროკავშირში გაწევრიანებამდე?

– ევროკავშირში არავინ შეგვიშვებს, თუ არ ჩატარდა ყველა რეფორმა – სასამართლოს, ადგილობრივი თვითმმართველობების, სოფლის მეურნეობის და ა.შ. უამრავი ასეთი რეფორმაა. ამიტომ, რეფორმების არჩატარება ხელს არ უშლის მოძრაობას ამ გზაზე. ეს კითხვა ისეთივეა, მაგალითად, რომ თქვა – ქუთაისში წასასვლელად მცხეთის გავლა არაა საჭიროო... თუ მცხეთაში არ გაიარე, ქუთაისში ვერ მოხვდები. თავისთავად, კანდიდატობის სტატუსი არაფერს გვაძლევს, გარდა იმისა, რომ გვაახლოებს ევროკავშირთან. ჩვენი საბოლოო მიზანი კანდიდატობის სტატუსი არაა, ჩვენი მიზანია ევროკავშირში გაწევრიანება, მაგრამ როგორ უნდა მივიდეთ იქამდე, თუ ამ გზას არ გავივლით? ეს არის გზა კანდიდატობის სტატუსით, რათა ადრე თუ გვიან და იმედია, რომ უფრო ადრე, მოვხვდეთ იმ სანუკვარ ოჯახში, რასაც ჰქვია ევროკავშირი.

– როგორია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, რა პერიოდი სჭირდება სტატუსის შემდეგ წევრობის მიღებას?

– სხვადასხვა პერიოდია. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ერთ-ორ წელში გაიარეს, ალბანეთმა ათ წელში გაიარა და თურქეთი 28 წელია, ამ გზაზეა ანუ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჩატარდება რეფორმები. ვინც ლაპარაკობს რეფორმებზე, მართალია, გააჩნია, როგორ ივლი ამ გზაზე...

– მნიშვნელოვანია, როგორ შეხვდება ქართული საზოგადოება ევროკავშირის გადაწყვეტილებას... პრორუსულმა ძალა „ალტინფომ“ უკვე დააანონსა „ანტიმაიდანი“, რამდენად საშიშად მიგაჩნიათ მსგავსი განცხადებები და რა პერსპექტივა აქვთ ასეთ ძალებს საქართველოში?

– პერსპექტივა არ გააჩნიათ, თუ ხელისუფლება არ დაეხმარება. 5 ივლისის მოვლენებმა კარგად გამოავლინა, რომ მათი ძალა რუსულ ფულსა და

დასასრული მე-5 გვერდზე

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილი ხალხს აბნევს!“

მე-4 გვერდიდან

უსაფრთხოების სამსახურებშია. რუსული ფული უნდა აიკრძალოს და ჩატარდეს მთელი გამოკვლევები, მაგრამ პირველ რიგში, ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს ულტრამემარჯვენე ძალების მხარდაჭერას და მაშინ ისინი არაფერს წარმოადგენენ. არც ერთი ადამიანი არ გამოვა სხვის დასარბევად, თუ იმის გარანტია არ აქვს, რომ ეს შერჩება. ასე რომ, ეს ძალა არაფერს წარმოადგენს, ისევ და ისევ მთელი პრობლემა ხელისუფლებაშია, რომელიც კვებავს ამ კატეგორიის მოძრაობებს.

– ანუ, სერიოზულ დაპირისპირებას საზოგადოებას შორის გამორიცხავთ?

– ბუნებრივად გამოვრიცხავ, თუ ხელისუფლება არ იქნება დაინტერესებული. მოლდოვაში არიან რეალური პრორუსული ძალები, ისინი ქუჩაში გამოდიან, მიტინგები ტარდება და არავის არ-ბევენ, „ალტინფო“ კი დარბევაზე ლაპარაკობს. „ალტინფოს“ ხალხი არ ჰყავს, რომ ისე, როგორც 7-8 მარტს გამოვიდა ხალხი ევროკავშირის დასაცავად – არ არსებობს საქართველოში მოსახლეობა, რომელიც ქუჩაში გამოვა და პრორუსულობას დაიცავს. ასეთი ხალხი საქართველოში არაა, მოლდოვაში კი არის. უკრაინაშიც იყო ომამდე და ომმა აჩვენა, რომ საშინელებაა რუსეთი. ომამდე არ იყო ეს განცდა და ხშირად აღმოსავლეთ უკრაინაში იყო ხალხი, ვინც რუსეთზე ლოცულობდა. რუსეთის ომმა აჩვენა, რამდენად ცდებოდნენ ისინი. მოლდოვაში დარჩა ასეთი ხალხი, საქართველოში კი არასდროს ყოფილა და ყველაფერი ეს ხელოვნურადაა შექმნილი. ეს ხალხი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას კი არა, ძალადობას იყენებს და ვინც ძალადობაზე გადადის, ის სუსტია. მას სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რომ შეაშინოს, დაატერროროს ადამიანები...

– როგორ უნდა აღიკვეთოს მათი ასეთი ქმედება?

– მთავარია, ქართველმა ხალხმა, გარდა იმისა, რომ მივდივართ ევროკავშირისკენ და ველოდებით კანდიდატის სტატუსს, მეორე ხელით უნდა გააკეთოს ის, რომ არჩევნებზე მინიმუმზე დასვას ხელისუფლება. სულ ცოტა იმაზე ნაკლები ხმა უნდა მიიღოს, რაც დღეს აქვს პარლამენტში. თუ ამას გააკეთებს ამომრჩეველი, შეატყობინებს მსოფლიოს და ხელისუფლებას, რომ მას არ გააჩნია ის ძალა, რაც ჰქონდა მანამდე, ეს იქნება დიდი გამარჯვება.

– მნიშვნელივანია ოპოზიციის ერთიანობაც სტატუსის მინიჭების საკითხზე... ცოტა ხნის წინ კი დეპუტატმა ქალბატონებმა – დეკანოიძემ და სამნიძემ განაცხადეს, რომ ქართულ ოპოზიციაში ზოგი დაინტერესებულია სტატუსის გადავადებით... რას იტყვით ამაზე?

– როდესაც გადმოგვცეს 12 პუნქტი შესასრულებლად, ოთხჯერ ვიყავი ბრიუსელში, სხვადასხვა საკითხზე, ჩემს მეგობრებთან ერთად და ჩემი კითხვა ყოველთვის იყო – არის ვინმე, ვინც ბრისუელში დადის და ამბობს, არ მიგვცეთ კანდიდატის სტატუსი? არასდროს გამიგია, რომ ეთქვათ, კი, ჩამოდიან და ამას ამბობენო.

არ არის პარტია, რომელიც თავის რეზოლუციით ან კანონშემოქმედებით მოუწოდებდეს ვინმეს ამისკენ, პოლიტიკა არის საჯარო. ჩემი უძვირფასესი მეგობრები არიან პარლამენტში ის ქალბატონები, რომლებიც ასე აქტიურები არიან და აღტაცებული ვარ მათით, მაგრამ მაშინ უნდა თქვან, ვინ ამბობს ამას, რადგან თუ ასე არ მოიქცევიან, გამოდის, რომ ეს განცხადება ყველას მიმართაა და ეს არ არის კარგი, რომ ყოველი ოპოზიციონერი ეჭვქვეშ დგება. თუ ასეთი ადამიანი არის ვინმე, თქვან ხმამაღლა, რა პრობლემაა? თქვან, რისი ეშინიათ?..

ბრიუსელში აშკარად ჩანს განწყობა, რომ საქართველოში არ არის არცერთი პოლიტიკური ძალა, ვინც ორგანიზებულად, სისტემურად მუშაობს კანდიდატის სტატუსის არმიღებაზე. შიგნით, კულუარებში არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც მსჯელობა ამაზე იყოს...

– ასეთ მნიშვნელოვან პერიოდში საგულისხმოა ოპოზიციის მდგომარეობაც... ყველაზე მრავალმომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიაში დაპირისპირება უკვე დიდი ხანია, გრძელდება... როგორ ფიქრობთ, ეს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს რამდენად დააზიანებს?

– აზიანებს, პირველ რიგში, მათ. ამომრჩეველი, ვინც პოტენციურად მზადაა, ნაციონალურ მოძრაობას მისცეს ხმა, არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ხმას „ქართულ ოცნებას“. თავისთავად, ეს ხმა დაკარგული არ არის, მაგრამ შეიძლება ეს ხმა გაიფანტოს სხვადასხვა პარტიაში. ნაციონალური მოძრაობა, რომელიც არ მიყვარს, არ მომწონს და ვაკრიტიკებ ყოველთვის, წამყვანი ოპოზიციური ძალაა. ეს არ მომწონს, მაგრამ ფაქტია და უნდა ვაღიაროთ, ამიტომ კეთილი ინებოს ნაციონალურმა მოძრაობამ და ნუ ფანტავს თავისი ამომრჩევლების განწყობებს.

ყველაზე უფრო უცნაურია სააკაშვილის ქცევა. როცა ხაბეიშვილი და მელია დაპირისპირებული არიან, უცებ შემოიყვანა მოთამაშედ ჯაფარიძე, მშვენიერი ქალბატონი, რომელიც სხვა, მესამე ძალას ქმნის და რა არის ეს? რატომ აბნევენ ამომრჩეველს? რატომ არ შეუძლია სააკაშვილს თქვას, მინდა ხაბეიშვილი ან მელიაო? რატომ ქმნის კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას? დაბნეულობა შეაქვს ამომრჩეველში, რაც არ არის კარგი და დააზიანებს საერთო სახელმწიფო მოქმედებას, რათა მივიღოთ კანდიდატის სტატუსი და გვქონდეს პარლამენტში სერიოზული წარმომადგენლობა არა „ქართული ოცნებისა“. ამიტომ, თვითონ სააკაშვილი აბნევს ხალხს.

თუ იშლებიან, დროზე დაიშალონ, რათა ის ძალა, რომელსაც ერქმევა ნაციონალური მოძრაობა, მიიღებს სულ მცირე 15%-ს და ვინც გამოვა იქიდან, შეიძლება მოაგროვოს 5%... ამიტომ, შეიძლება პარლამენტში ვიხილოთ ორი ფრთა ნაციონალური მოძრაობის, მაგრამ დღესვე უნდა დაუწყონ ამაზე მუშაობა, თორემ მერე გვიან იქნება. მათ შეიძლება დაემატოს რომელიმე მესამე ძალა – ან გახარია, ან ლელო, რომელიც ასევე, გადალახავს 5%-ს.

არ დაგვავიწყდეს, რომ ამომრჩევლის 50%-მა არ იცის, ხმა ვის მისცეს. ეს გამაოგნებლად დიდი ციფრია და საჭიროა ამ ხალხზე მუშაობა, რადგან ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ეს ხალხი არჩევნების დროს, შეიძლება, სახლში დარჩეს. ამიტომ, ასეთი დამაბნეველი და ბოდიში, იდიოტური ქცევები არაა საჭირო. საჭიროა მობილიზაცია, რათა ეს ხალხი ქუჩაში გამოყვანონ და მიიყვანონ საარჩევნო უბანთან, რომ ვიღაცას მაინც მისცეს ხმა.

– ამ მოცემულობით, ამის პერსპექტივას ხედავთ ოპოზიციისგან?

– ხვალ რომ იყოს არჩევნები, ვერ ვხედავ, რადგან ოპოზიცია ძალიან დაქსაქსულია. ხელისუფლება ძალიან სუსტია, მაგრამ არც ასეთი სუსტი ოპოზიცია ჰყოლია საქართველოს.

ორი ძალა აქვს ხელუსუფლებას – ოპოზიციის სისუსტე და სიღარიბე. ოპოზიციას შეუძლია, იმაზე ილაპარაკოს, როგორ მოსპობს სიღარიბეს... პოტენციურად ძალიან მდიდარი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ უსამართლოდ ნაწილდება ეს სიმდიდრე. ეკონომიკური ზრდა გვაქვს და ამასთან ერთად, იზრდება შემწეობის მქონეთა რიცხვი, რაც გამაოგნებელია.

რატომ არ შეიძლება, ოპოზიციამ ამაზე იმუშაოს?! გეგმა არ აქვს ოპოზიციას, თუ როგორ ებრძვის სიღარიბეს და უმუშევრობას... თუ მოხვედი და დაგვიტოვე ყველაფერი ძველებურად, მაშინ, რა განსხვავებაა შენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის? მაშინ, მირჩევნია, ხმა იმას მივცე, ვინც უკვე ვიცი, რაც არის, ვიდრე იმას – ვინც არ ვიცი, ვინ არის...

85 მილიარდ 370 მილიონი ლარი – 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დეტალები

მაკა რუხაძე



რა ფინანსური პრიორიტეტები გამოკვეთა მთავრობამ მომდევნო წელს

კონსერვატიულად დაგეგმილი ბიუჯეტი, 5%-იანი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით – 2024 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მეორე, გადამუშავებული ვარიანტი უკვე პარლამენტშია. მთავრობის სხდომა კი მთლიანად მომდევნო წლის ბიუჯეტის განხილვას მიეძღვნა. პოლიტიკური ოპონენტების განცხადებით, ხელისუფლებამ 2024 წლის ბიუჯეტი საარჩევნო წლის შესაბამისად დაგეგმა, თუმცა ასეა თუ ისე, ფაქტია, მომდევნო წელს, საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ფენა იგრძნობს ფინანსურ სიკეთეს – პენსიონერი იქნება ის, შშმ პირი, ვეტერანი, თუ მოქმედი სამხედრო პირი. კერძოდ, უსახლკარო მრავალშვილიან ოჯახებს საცხოვრებლები გადაეცემათ, ქრონიკული დაავადებების მქონე პენსიონერები მედიკამენტებს უფასოდ მიიღებენ. თუმცა, ყველაზე მთავარი ისაა, რომ სათამაშო ბიზნესი დაიბეგრება მოგების 15%-იანი გადასახადით, დღეს არსებული 10%-ის ნაცვლად. შედეგად, ბიუჯეტში, დამატებით 400 მილიონი ლარი შევა.

„ვერსია“ 2024 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს გაგაცნობთ – ვნახოთ, რა ფინანსური პრიორიტეტები გამოკვეთა ხელისუფლებამ მომდევნო წელს.

როგორც აღვნიშნეთ, გასული კვირის ბოლოს, მთავრობის სხდომა მთლიანად 2024 წლის ბიუჯეტის განხილვას მიეძღვნა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა. მისი თქმით, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 85 მილიარდ 370 მილიონი ლარია.

„მოგეხსენებათ, ბიუჯეტის პირველად ვარიანტზე საკმაოდ ინტენსიურად ვიმუშავეთ. ამის შემდეგ, წარვუდგინეთ პარლამენტს, სექტემბრის ბოლოს და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, გავაგრძელეთ მუშაობა თითოეულ სამინისტროსთან. გარდა ამისა, გვქონდა სამუშაო შეხვედრა პარლამენტთან, უმრავლესობასთან, კომიტეტებთან, ყველასთან დეტალურად გავიარეთ ბიუჯეტის პირველი ვარიანტი, შემდეგ ვიმუშავეთ და ახლა წარმოვადგენთ მეორე ვარიანტს. მინდა აღვნიშნო, რომ კონსერვატიულად არის დაგეგმილი ბიუჯეტი, 5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს გათვალისწინებული 2024 წელს. ამავდროულად, მინდა ვთქვა, რომ შემცირებულია ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც 2024 წელს გვექნება 2.5% და შემდგომ წლებში კიდევ შემცირდება, ხოლო მთავრობის ვალი შეადგენს მშპ-ს 38.2 %-ს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. სულ რაღაც სამი წლის წინ, 60%-ზე მეტი იყო და ეს მოვახერხეთ მოკლე პერიოდში.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ასეთი კონსერვატიული დაგეგმვის პირობებშიც, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იქნება 85 მილიარდ 370 მილიონი ლარი – მთელი ქვეყნის ეკონომიკა იქნება 85 მილიარდ 370 მილიონი ლარი. შედარებისთვის, მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ 2012 წელს იყო 27 მილიარდი ლარი ანუ გასამმაგდა მთელი ქვეყნის ეკონომიკა ჩვენი მმართველობის პერიოდში, 11 წელიწადში. 85 მილიარდი იქნება 2024 წელს და 2012 წელს იყო 27 მილიარდი ლარი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ამგვარი ტემპით ზრდის შემთხვევაში, 2027 წლისთვის, პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 108 მილიარდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, 10 800 დოლარს გადააჭარბებს.

„მინდა შეგახსენოთ, რომ 2020 წელს, მშპ იყო 50 მილიარდი ლარი ანუ კიდევ ვიმეორებ, რომ 30-მილიარდიანი ზრდა გვაქვს სამ წელიწადში, დაახლოებით. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, მშპ იყო 4 250 დოლარი, და 2024 წელს გვექნება უკვე 8 500 დოლარი. ასეთი ზრდა გვაქვს სულ რაღაც სამ წელიწადში. ამგვარი ტემპით ზრდის შემთხვევაში, 2027 წლისთვის, პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 108 მილიარდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, 10 800 დოლარს გადააჭარბებს. ეს ძალიან დამაიმედებელი პროგნოზია. იცით, რომ ჩვენ 2030 წლისთვის, ვპროგნოზირებდით 10 000 დოლარს და ნახეთ, რომ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში, დიდი ნახტომი გავაკეთეთ“.

თავდაპირველად, 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 27 მილიარდ 800 მილიონ ლარზე იყო გათვლილი. 27 მილიარდ 800 მილიონ ლარში გათვალისწინებული იყო დაფინანსების ზრდა თითქმის ყველა მიმართულებით, მათ შორის, პენსიების ზრდა.

„ზემოაღნიშნული პარამეტრები ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტშიც არ იცვლება.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

85 მილიარდ 370 მილიონი ლარი – 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დეტალები

მე-6 გვერდიდან

შეგახსენებთ, პენსიები გაიზარდა მაღალმთიან რეგიონში, 70 წელს ზემოთ პენსია უკვე 500 ლარამდე იქნება, თითქმის 400 ლარამდე იქნება 70 წელს ქვემოთ პენსია. ასევე, საჯარო მოხელეებს, ყველას გაეზრდება ხელფასი 2024 წელსაც. 10%-იანი ზრდა არის ჩადებული და მინდა შეგახსენოთ, რომ ბოლო სამ წელიწადში, 30%-ით გაეზარდა ხელფასი ყველა საჯარო მოხელეს, მათ შორის, პოლიციელებსა და ჯარისკაცებს 45-50%-ით. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს, 400 მილიონ ლარზე მეტით გაიზრდება განათლების დაფინანსება.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ზრდისა, ბიუჯეტის განხილვის პროცესში, დამატებითი საჭიროებები გამოიკვეთა. ჩვენს მეგობრებთანაც გვქონდა ამაზე საუბარი პარლამენტში, საინტერესო მოსაზრებებიც გაგვიზიარეს, ბევრი რეკომენდაცია და რჩევა გავიზიარეთ და გავითვალისწინეთ".

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობამ საბანკო სფეროში, 9 თვის განმავლობაში მიმდინარე ტენდენციები გააანალიზა და გამოიკვეთა, რომ 2024 წელს, შესაძლებელია დამატებით 300 მილიონი ლარის შემოსავლის მიღება საბანკო-საფინანსო სექტორიდან.

„ჩვენ ეს პერიოდი ვმუშაობდით და დამატებითი რესურსების მობილიზებაზე გამახვილდა ყურადღება. გავაანალიზეთ საბანკო სფეროში 9 თვის განმავლობაში მიმდინარე ტენდენციები, გამოიკვეთა, რომ 2024 წელს შეგვეძლება დამატებით 300 მილიონი ლარის შემოსავლის მიღება საბანკო-საფინანსო სექტორიდან. ვითვალისწინებთ მათ მოგებას და აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს დაკვირვება გაგრძელდება და ვნახავთ, გარდა ამისა, რა რესურსები შეიძლება გამოინახოს კიდევ. 300 მილიონი ლარი დამატებით მოგვაქვს საბანკო-საფინანსო სექტორიდან.

გარდა ამისა, საპარლამენტო უმრავლესობას წარვუდგენთ ახალ ინიციატივას, რომელიც ახლა მინდა, რომ საზოგადოებას გავაცნო. სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის განაკვეთები უნდა შევცვალოთ და გეგმის მიხედვით, ახალი ინიციატივით, სათამაშო ბიზნესი დაიბეგრება მოგების 15%-იანი განაკვეთით, დღეს არსებული 10%-ის ნაცვლად, ხოლო სათამაშო ბიზნესიდან თანხის გატანა დაიბეგრება 5%-ით, დღეს მოქმედი 2%-ის ნაცვლად.

ასევე, მინდა საზოგადოებას ვაცნობო, რომ აღნიშნული ცვლილებები დამატებით ბიუჯეტში მოიტანს 400 მილიონ ლარს. ამ ცვლილებათა შედეგად, 300 მილიონი ბანკებიდან და 400 მილიონი სათამაშო ბიზნესიდან, ჯამში, 700 მილიონი ლარია, რაც ნიშნავს, რომ სწორედ 700 მილიონი ლარის დამატებითი შემოსავალი გვექნება 2024 წელს". ღარიბაშვილის განცხადებით, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სათამაშო ბიზნესის ბრუნვა იზრდება.

„აქვე მინდა, ერთი მხრივ, გაკვირვება გამოვხატო, მეორე მხრივ, ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სათამაშო ბიზნესის ბრუნვა იზრდება. მე ნამდვილად არ მიხარია, ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ არის ჩართული სათამაშო ბიზნესში. ცნობისთვის, უბრალოდ მინდა, რომ ინფორმაცია მოგაწოდოთ: 2022 წელს, 48 მილიარდიდან 52 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სათამაშო ბიზნესის მთელი ბრუნვა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია. ამდენი ადამიანი ჯერ კიდევ არის ჩართული სათამაშო ბიზნესში. იცით, რომ ჩვენ შარშან განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ცვლილებები, როცა ავკრძალეთ რეკლამა და ასევე, 25 წლამდე შევუზღუდეთ ჩვენს მოქალაქეებს სათამაშო ბიზნესში მონაწილეობა. ავტომატურად, მილიონ 500 ათას მოქალაქეს შეეზღუდა სათამაშო ბიზნესში მონაწილეობა. ამის მიუხედავად, ვხედავთ, რომ საკმაოდ ბევრი მოქალაქეა ჩართული ამაში.

შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გავუზარდოთ დამატებით გადასახადები ამ ბიზნესს და, როგორც მოგახსენეთ, 400 მილიონი ლარი იქნება დამატებით ამოღებული. ჯამში, მეგობრებო, ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი გაიზრდება 700 მილიონით და მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი შეადგენს უკვე 28 მილიარდ 500 მილიონ ლარს ანუ 28 მილიარდ 500 მილიონი ლარი იქნება 2024 წლის ბიუჯეტი. შედარებისთვის, მინდა გითხრათ, რომ 2012 წელს, ბიუჯეტი იყო თითქმის 9 მილიარდამდე ანუ თითქმის 20-მილიარდიანი ზრდა გვაქვს 11 წელიწადში. აი, ეს საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგი გვაქვს ჩვენი გუნდის მუშაობის".

მთავრობის მეთაურის თქმით, დამატებით, 160 მილიონი ლარი გამოეყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

„რაც შეეხება დამატებით ამ 700 მილიონის განაწილებას, როგორც უკვე დავაანონსეთ პედაგოგებთან შეხვედრისას, დამატებით 160 მილიონი ლარი გამოვუყავით განათლების სამინისტროს. ჯამში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენს 2 მილიარდ 500 მილიონ ლარს. შედარებისთვის მინდა აღვნიშნო, რომ 2012 წელთან შედარებით, განათლების ბიუჯეტი გაზრდილია 1 მილიარდ 800 მილიონამდე ლარით – 300%-იანი ზრდა გვაქვს ბოლო 11 წელიწადში. აქაც კარგად ჩანს, როგორ ყურადღებას აქცევდნენ განათლებას.

როგორც უკვე ჩვენს ძვირფას მასწავლებლებს ვაცნობეთ, მნიშვნელოვნად გაიზრდება პედაგოგების ხელფასები 2024 წელს, რაც ნიშნავს იმას, რომ სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა ხელფასი, საშუალოდ, 500 ლარით და მეტით გაიზრდება. ზოგს შეიძლება 600 ან 700 ლარით გაეზარდოს. ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა არის და მინდა ჩვენს მასწავლებლებს კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა და ვუსურვო წარმატებები. ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე, რაც სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად, განათლების ხარისხის ამაღლების კიდევ უფრო მეტი მოტივაცია და უდიდესი კომპონენტი იქნება".

მთავრობის მეთაურის თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს დამატებით გამოეყოფა 65 მილიონი ლარი და ჯამური ბიუჯეტი იქნება 7 მილიარდ 800 მილიონი ლარი.

„2012 წელთან შედარებით, რადიკალური ცვლილება გვაქვს – 6 მილიარდი ლარით არის გაზრდილი ჯანდაცვის ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში. 2012-ში, შესაბამისად, ძალიან დაბალი იყო ჯანდაცვის ბიუჯეტი, ჩვენ 325%-იანი ზრდა გვაქვს.

ახლა, რაც შეეხება ახალ პროექტებსა და ინიციატივებს, რომელიც მინდა გავაცნო საზოგადოებას. გაიზარდა ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება და მომდევნო წელს, პენსიონერები, მთელი წლის განმავლობაში, უფასოდ მიიღებენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს. ეს არის, დაახლოებით, 400 000 პენსიონერი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათია. გარდა იმისა, რომ პენსიონერებს გავუზარდეთ პენსია და 500 ლარამდე, 110 ლარი იყო 2012 წელს, ახლა გახდა 500 ლარამდე, ასევე – ქრონიკული დაავადებების მქონე პენსიონერები უფასოდ მიიღებენ მედიკამენტებს 2024 წელს და ჩვენ ამ ტენდენციას შევინარჩუნებთ".

მთავრობის მეთაურის თქმით, დაიწყება ონკოლოგიურ პაციენტთა ადრეული კვლევების დაფინანსება, რაც საკმაოდ დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

„რაც შეეხება ახალ ინიციატივას, რომელიც ბატონ ზურას აქვს დაგეგმილი, დაიწყება ონკოლოგიურ პაციენტთა ადრეული კვლევების დაფინანსება, რაც საკმაოდ დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. მედიკამენტებზე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მიერ გატარებული საკმაოდ ეფექტიანი ღონისძიებების შედეგად, ჯამურად, 300-დან 400 მილიონ ლარამდე დაეზოგება ჩვენს მოქალაქეებს ჯიბიდან გადახდილი, რაც ძალიან დიდი შეღავათია. მედიკამენტები გაიაფდა, ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა სამინისტრომ. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად გავაკონტროლებთ და გავაუმჯობესებთ.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებისთვის, ისაა, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება და ყოფილი პოლიციელები, ჯარისკაცები, სპეცსამსახურების წარმომადგენლები მიიღებენ გაზრდილ პენსიას. იცით, რომ ჩაკეტილი იყო დღემდე, 560 ლარი იყო მაქსიმალური ზღვარი პენსიისა და ეს გაიზრდება 1 000 ლარამდე. ასევე, საშუალოდ, 20%-ით გაიზრდება ნამსახურების თითოეულ წელზე გათვლილი თანხის მოცულობა. მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი ძალოვანი უწყებების მიმართ და ეს იქნება ღირსეული პენსია, რომელიც გვინდა, ეტაპობრივად გავზარდოთ იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი გვექნება".

მთავრობის მეთაურის თქმით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების კომპენსაცია 1 000 ლარიდან 1 200 ლარამდე გაიზრდება.

„გვინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების მიმართ. მათი კომპენსაცია 1 000 ლარიდან 1 200 ლარამდე გაიზრდება. 2012 წელს, იყო ნული ლარი, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ამ ადამიანებს და ჩვენ ამ ოჯახებს 1 200 ლარს დავუნიშნავთ ყოველთვიურ კომპენსაციას. კიდევ ერთხელ, დიდება, ჩვენს გმირებს!"

დასასრული მე-8 გვერდზე

85 მილიარდ 370 მილიონი ლარი – 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დეტალები

მე-7 გვერდიდან

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, გაიზრდება 9 აპრილის მონაწილეთა, პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია და ეს ჯამურად საკმაოდ დიდი თანხებია.

„ჩვენ მოვიცავით თითქმის ყველა ჯგუფი, გაიზრდება 9 აპრილის მონაწილეთა, პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია და ეს ჯამურად საკმაოდ დიდი თანხებია, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. საკმაოდ მცირე თანხები იყო და ესეც ზოგჯერ გავაოთხმაგეთ და გავახუთმაგეთ, რიგ შემთხვევაში.

ასევე, მომდევნო წელს, დავიწყებთ ახალ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, ეტაპობრივად, საცხოვრებლით უზრუნველვჰყოფთ უსახლკარო, მრავალშვილიან ოჯახებს. ჩემი დავალებით შევისწავლეთ რეგიონში არსებული სიტუაცია, სამი შვილი და მეტი ვისაც ჰყავს უსახლკარო ან გაუსაძლის პირობებში, ასე ვთქვათ, მაცხოვრებლებს, შევაფასეთ მათი მდგომარეობა და ასეთი არის, დაახლოებით, 1 000-მდე ოჯახი, ვისაც სამი შვილი და მეტი ჰყავს, არიან გაჭირვებულები და სოციალურად დაუცველები. ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ათასამდე ასეთ ოჯახს ჩვენ შევუძენთ ბინებს და იცხოვრებენ ღირსეულ საცხოვრებელ პირობებში. ეს იქნება, მაქსიმუმ, ორწლიანი პროგრამა. ჩვენ გაისად დავიწყებთ ამ პროგრამას და აქაც, დაახლოებით, 50 მილიონი ლარი ჯამურად დაიხარჯება. 25 მილიონი ლარი დაიხარჯება 2024 წელს და შემდეგ მეორე 25 მილიონი ლარი – 2025 წელს. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქალაქეები იღებდნენ ასეთ ყურადღებას და მთავრობისგან არ უნდა იყვნენ მიტოვებული“.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეკონომიკის სამინისტროს დამატებით გამოეყოფა 150 მილიონი ლარი და ჯამში, 800 მილიონ ლარამდე იქნება ბიუჯეტი.

„2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 326 მილიონი ლარით ბიუჯეტი. მინდა, მნიშვნელოვანი სიახლე გაცნობოთ – ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის გათვალისწინებული იქნება ჯამურად 70 მილიონი ლარი. 50 მილიონი ლარი ჩაიდება 2024 წელს და 20 მილიონი უკვე წელს გამოვუყავით. ჩვენი მხრიდან დასადები თანხები უკვე მობილიზებულია, დაიწყება მშენებლობა გაზაფხულზე, ასეთი გეგმის მიხედვით. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ახლა ინვესტორის შერჩევა, რომელიც მალე დასრულდება, მაქსიმუმ, დეკემბერ-იანვარში გამოვაცხადებთ გამარჯვებულ ინვესტორს და ჩვენ ერთობლივად დავიწყებთ ანაკლიის პორტის მშენებლობას 2024 წლის მარტ-აპრილში, დაახლოებით, ასეთი გეგმა გვაქვს.

დამატებით 70 მილიონი ლარის გამოყოფაა განსაზღვრული ეკონომიკის სამინისტროსთვის აეროპორტების მშენებლობისთვის. ეს არის ქუთაისის აეროპორტის ახალი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, ასევე, თელავისა და ვაზიანის აეროპორტის პროექტირება, მათ შორის, კვლევების დასრულება“.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტებზე დამატებით გამოიყოფა 50 მილიონი ლარი, მაგრამ ჯამურად ბიუჯეტი იქნება 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი.

„შემდეგი საკითხია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება, რომლის პროექტებზე დამატებით გამოიყოფა 50 მილიონი ლარი, მაგრამ ჯამურად ბიუჯეტი იქნება 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი. შედარებისთვის, მინდა ვთქვა, რომ 2012 წელს, ბიუჯეტი გაიზარდა 2 მილიარდ 700 მილიონ ლარით, 419%-ითაა გაზრდილი ბატონი ქარსელაძის სამინისტროს ბიუჯეტი, 2012 წელს იყო 2 მილიარდ 700 მილიონი ლარით ნაკლები, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ზრდაა. ეს ყველაფერი ჩანს და ხედავთ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით არის მშენებლობა გაჩაღებული, იქნება ეს გზები, ხიდები, ავტობანები, თუ მაგისტრალები. ყველა მუნიციპალიტეტის ურბანული განახლება, კურორტების განახლება.

ძალიან საინტერესო პროექტები გვაქვს დაგეგმილი 2024 წელს, ათ ქალაქში დავიწყებთ მასშტაბურ სამუშაოებს, ათი ტურისტული ქალაქი გამოვყავით: ბორჯომი, ყაზბეგი, მესტია, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი და ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება 2024 წელს. ასევე, დასრულდება მთავარი მაგისტრალი რიკოთის უღელტეხილზე და მოკლედ, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება ამ მიმართულებითაც“.

მთავრობის მეთაურის თქმით, რაც შეეხება პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხებს, ამისთვის დამატებით 110 მილიონი ლარი გამოიყოფა.

„რეგიონებისთვის, ჯამში, ახლა გვაქვს გათვალისწინებული 450 მილიონი ლარი, მაგრამ ვნახოთ, შეიძლება კიდევ დავამატოთ 500 მილიონ ლარამდე და დამატებით გაზრდას ვფიქრობთ, მაგრამ ამ ეტაპზე, 450 მილიონი ლარი მიემართება რეგიონებში, რომელიც გადანაწილდება მუნიციპალიტეტებზე და ისინი დაიწყებენ საინტერესო პროექტების განხორციელებას.

ზრდა არის გათვალისწინებული თბილისშიც. მინდა, შედარებისთვის გითხრათ, რომ 2012 წელს, თბილისის ბიუჯეტი საკმაოდ დაბალი იყო. 2024 წლიდან, თბილისის მთლიანი ბიუჯეტი იქნება მილიარდ 875 მილიონი ლარი და შედარებისთვის გეტყვით, რომ ეს არის მილიარდ 190 მილიონამდე ანუ 173 %-იანი ზრდა თბილისის შემთხვევაში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ეფექტიანი მატებაა“.

რაც შეეხება ძალოვან უწყებებს, პრემიერის თქმით, თითქმის 200 მილიონზე მეტით გაეზარდა ჯამური დაფინანსება შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

„ჩვენ დამატებით გამოვუყოფთ თავდაცვას 10 მილიონს. 50 მილიონს შინაგან საქმეთა სამინისტროს მივცემთ, საიდანაც 20 მილიონი ლარი მოხმარდება სახანძრო-სამაშველო მანქანებისა და ტექნიკის შეძენას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იცით, რომ სამი ვერტმფრენი უკვე შეძენილია – ფრანგული წარმოების ვერტმფრენები შეძენილია და ეტაპობრივად დაიწყება მოწოდება 2024 წელს. სპორტის მიმართულებით, დამატებით გამოვყოფთ 20 მილიონ ლარს, აქედან 15 მილიონი ლარი მოხმარდება სპორტულ ფედერაციებს და 5 მილიონი ლარი მიემართება დამსახურებული სპორტსმენების, მწვრთნელების, საექიმო პერსონალის ყოველთვიური სტიპენდიების ზრდას.

ბოლოს, მინდა, ელექტრონული არჩევნების საკითხს შევეხო. დამატებით 25 მილიონ ლარს გამოვუყოფთ საარჩევნო კომისიას და ჯამში, ბიუჯეტში გათვალისწინებულია 125 მილიონი ლარი, რომელიც მოხმარდება ელექტრონული არჩევნების ჩატარებას. აი, ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელიც გავითვალისწინეთ 2024 წლისს ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში. ჩვენ უვკე გადავუგზავნეთ პარლმენტს ეს მეორე ვარიანტი, მაგრამ გვექნება კიდევ დამატებით ერთი თვე, ვიმუშავებთ ჩვენს გუნდთან ერთად, პარლამენტთან ერთად აქტიურად, კიდევ დავაზუსტებთ, დავხვეწთ ბიუჯეტს და ვფიქრობ, 2024 წელს გვექნება ძალიან ძლიერი, გამართული ბიუჯეტი, რომელიც ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხებს“.

სამართალი

№42 8 ნოემბერი 2023 წ

ვინ და რატომ დაუსერა სახე ცნობილ პლასტიკურ ქირურგს

ყოფილი კრიმინალისა და სამართალდამცავის მეგობრობის ისტორია

ბათო ჯაფარიძე

არცთუ იშვიათად მომხდარა, როცა სამართალდამცავს დამნაშავე დაუკავებია, მას სასჯელი მოუხდია, გათავისუფლების შემდეგ კი სწორ გზაზე დამდგარა და რაც მთავარია, მასთან, ვინც დააკავა, მეგობრობა ცხოვრების ბოლომდე გაუგრძელებია. ეს იმიტომ, რომ სწორედ იმ კონკრეტულმა ადამიანმა მისცა შესაძლებლობა, ამოესუნთქა, გაეანალიზებინა ყველაფერი, რასაც აკეთებდა და დასკვნაც გამოეტანა. ძალოვანი უწყების თანამშრომლებსა და ყოფილი პატიმრების მეგობრობაზე არაერთი ფილმია გადაღებული და სავარაუდოდ, მომავალშიც გადაიღებენ.

„ბატონო თენგიზ, ჩემი ქმარი დაიჭირეს. ერთადერთი, რაც მთხოვა, თქვენი ნახვა იყო. ერთ თვეში ბავშვს ველოდებით, მას რომ სასჯელი მისცენ, შეიძლება, თავი მოვიკლა. მჯერა, რომ დამნაშავე არ არის, თქვენც უნდა გჯეროდეთ, უშველეთ, გთხოვთ“, – ასეთი თხოვნით მოვიდა ჩემს კაბინეტში ახალგაზრდა ქალბატონი და თავიდან ვერც კი მივხვდი, ვინ იყო და რა უნდოდა, სახეზე ცხვირსაცოხი ჰქონდა აფარებული, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა და ქვითინებდა. როცა დამშვიდდა, მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ის ყოფილი პატიმრის ცოლი იყო, პატიმრის, რომელიც ციხეში მე ჩავსვი და იქიდან გამოსვლის შემდეგ, თავად მიპოვა, მადლობა გადამიხადა და გამოსწორების გზას დაადგა“, – მიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

თბილისში იმ დროს პლასტიკური ქირურგია ახალი შემოსული იყო. უფრო ზუსტად, იმას, რასაც პლასტიკურ ქირურგიას ეძახდნენ, რეალურად, სახის კანის უმნიშვნელო გადაჭიმვა იყო და ქირურგებიც თითებზე ჩამოსათვლელნი გახლდნენ, თუმცა არც მათ იცოდნენ ყველაფერი ზედმიწევნით და შეიძლება ითქვას, გზადაგზა სწავლობდნენ. მათ შორის იყო ქალბატონი, რომელიც დაჭრეს – სახეზე დანა დაუსვეს და ჩანთა გასტაცეს, რომელშიც დიდი თანხა ნამდვილად არ ჰქონდა. აი, ოქროს ყელსაბამი ბევრად მეტი ღირდა და მძარცველმა ისიც შეაწყვიტა. რაც შეეხება ეჭვმიტანილს, ის მეორე დღეს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიჭირეს.

„განყოფილებაში ქუჩის ტელეფონიდან დარეკეს და გვითხრეს იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვინც ძარცვა ჩაიდინა. ანონიმური ზარის ავტორი ქალი ამბობდა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა, მაგრამ იმის გამო, რომ გამოჩენის ეშინია, გადაწყვიტა, უბრალოდ, დაერეკა. შესაბამისად, ჩვენ აღნიშნული პირი დავაკავეთ, მისი ავტომობილი გავჩხრიკეთ და მგზავრის სავარძლის ქვეშ, სისხლში ამოსვრილი ყელსაბამი ვიპოვეთ. იქვე იყო გატაცებული ჩანთიდან ამოღებული ცხვირსახოცი. დაკავებული წარსულში ნასამართლევია, ცნობილი „მედვეჟატნიკია“, ბინებს ისე ქურდავდა, ვერაფერს ვიგებდით. როგორც ჩანს, ძველ პროფესიას დაუბრუნდა, კრიმინალი გახდა, უბრალოდ, პროფილი შეიცვალა“, – უთხრა ბატონ თენგიზს საქმის გამომძიებელმა.

„სისულელეა და ახლავე აგიხსნი რატომ. ის, რომ დაკავებული გამოცდილი კრიმინალია, გეთანხმები. ჰოდა, მივყვეთ ლოგიკას, გამოცდილი კრიმინალი, რომელმაც სასჯელი მოიხადა, გამოვიდა, 3-4 წელი პატიოსნად იცხოვრა, ცოლი მოიყვანა, ბავშვს ელოდება და ამ დროს სჩადის დანაშაულს, რომელიც მანამდე არ ჩაუდენია ანუ მისთვის უცხოა. კეთილი, ჩაიდინა დანაშაული, გაძარცვა და დაჭრა ქალი, მაგრამ ეს გამოცდილი კრიმინალი, რატომღაც თავიდან არ იშორებს სამხილებს, მანქანაში, სავარძლის ქვეშ ინახავს სისხლიან ყელსაბამს და ჩანთიდან ამოღებულ ცხვირსახოცს. მითხარი, სად არის ლოგიკა? ეს კი არა, გამოუცდელი, ცხვირმოუხოცავი კრიმინალიც კი არ ჩაიდენდა. ეს ვერ ვიფიქრებ, ეს ვერ ვიფიქრებ, ეს ვერ ვიფიქრებ,

21 წლის მევიოლინეს მამა შემოაკვდა

ტრაგიკული კრიმინალური ამბის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, „ავერსის“ კლინიკიდან, სამკურნალოდ გადაყვანილი სამი პატიმარი გაიქცა. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მომღერლის შვილი გახლდათ და ზოგადად, სანამ სამივეს დააკავებდნენ, იუსტიციისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ პატიმრების ვინაობა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე არ გახმაურებულიყო. არადა, ფილმებში გვინახვს და ისეც გაგვიგია – როცა საშიში პატიმრები გარბიან ევროპულ ქვეყნებსა თუ აშშ-ში, მათ ფოტოებს ყველა სატელევიზიო არხით აჩვენებენ და მოსახლეობას დახმარებას სთხოვენ. ჩვენს შემთხვევაში, სხვაგვარად მოიქცნენ და ბოლომდე საიდუმლოდ დატოვეს ყველაფერი. საბოლოოდ, გაქცეულები დააკავეს დ ახლა მათ დარჩენილ „სროკზე“ კიდევ რამდენიმე წელს დაუმატებენ. ვერ გეტყვით, გაქცეულებიდან რომელიმეს სურს თუ არა „კანონიერი ქურდობა“, მაგრამ „დაუწერელი კანონის“ მიხედვით, თუ პატიმარს, რომელსაც ქურდობა სურს, გარეთ გაიყვანენ ნებისმიერი მიზეზით, მას არ აქვს უფლება, არ ჰქონდეს გაქცევის მცდელობა ერთხელ მაინც, თუ ყველაფერ ამაში, ჯანმრთელობის მდგომარეობა უწყობს ხელს.

მომღერალი შემთხვევით არ მიხსენებია, 80-იანი წლების გარიჟრაჟზე მოხდა დანაშაული, რის შემდეგაც არც სამართალდამცავებმა იცოდნენ, უნდა დაესაჯათ თუ არა დამნაშავე და არც ოჯახის წევრებმა.

ქალაქში ხმა გავარდა, რომ ერთ-ერთმა გავლენიანმა ადამიანმა თავი მოიკლა. ის დიდი საწარმოს დირექტორის მოადგილე იყო, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ რეალურად, მის გარეშე, არაფერი წყდებოდა, საწარმოს დირექტორთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ძმაკაცები საქმეს გადასარევად უძღვებოდნენ, ერთმანეთის ნდობა ჰქონდათ და არაფერი უჭირდათ. ჰოდა, მეგობრის სიკვდილს ყველაზე მეტად დირექტორი ნაღვლობდა, ჩათვალეთ, მარჯვენა მომაჭრეს, ახლა რაღა მეშველებაო. რაც მთავარია, დირექტორი ამტკიცებდა, თავს არ მოიკლავდა, დიდი გეგმები გვქონდა და არც მაგის წინაპირობა იყო, იარაღი დაეხალაო. არადა, გარდაცვლილი საკუთარი იარაღით იყო მკვდარი, ჭრილობა მუცელში შედიოდა და ექსპერტების დასკვნით, სიკვდილი, დაახლოებით, ნახევარ საათში დადგებოდა ანუ მას შეეძლო დაერეკა, მეზობლისთვის დახმარება ეთხოვა, ელემენტარულად, აივნამდე გაბობღებულიყო და იქიდან ეყვირა, მაგრამ ეს არ გააკეთა. ექსპერტიზის დასკვნის მეორე ნაწილი კი ნათლად მიანიშნებდა, რომ დირექტორის ვერსია რეალური იყო – გარდაცვლილის არცერთი ხელის თითებზე დენთის კვალი არ აღინიშნებოდა ანუ გამოდიოდა, რომ იარაღიდან მას არ უსვრია.

როგორც წესი, გარდაცვლილი იარაღს სეიფში ინახავდა და არასდროს არავის უნახავს, რომ გამოეტანა, მაგრამ დირექტორმა თქვა, ორი კვირის წინ, ერთ-ერთი მუშა გაათავისუფლა, რადგან ჩაეძინა და საამქროს სერიოზული ზარალი მიაყენაო. ჰოდა, ის მუშა იმუქრებოდა, ლუკმა-პურის გარეშე რომ დამტოვე, არ გაცოცხლებო. მუქარა იმდენად სერიოზული იყო, რომ გარდაცვლილი, ყოველი შემთხვევისთვის, თავისი იარაღით დადიოდა. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა განაწყენებული მუშა მოიკითხეს.

„ვიღაცამ ის კაცი მოკლა და ახლა ფიქრობთ, რომ ეს მე ჩავიდინე, ხომ? რა მარტივია, თურმე, ცხოვრება... არა, ბატონებო, მე არ მომიკლავს, დავემუქრე, რამდენჯერმე დავემუქრე, მაგრამ ერთადერთი, რისი ოცნებაც მქონდა, სადმე შემხვედროდა, რომ ცხვირ-პირი დამენაყა, თორემ მოკვლა არც მიფიქრია. თანაც, რატომ უნდა მომეკლა, აგერ, ახალი სამსახური მაქვს და თან იმაზე მაღალი ხელფასით, ვიდრე იქ მქონდა“, -განაცხადა ეჭვმიტანილმა და მართლაც, პრაქტიკულად, მას საფუძველი არ ჰქონია, ასეთ რისკზე წასულიყო.

ყოველი შემთხვევისთვის, შეამოწმეს დირექტორიც, მაგრამ იმ დროს, როცა გარდაცვლილს ესროლეს, ის სამინისტროში იყო შეხვედრაზე და მინისტრის მოსაცდელში სხვებთან ერთად იჯდა. ასევე, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბოლოს, ვინც გარდაცვლილი ნახა, მისი ერთადერთი შვილი იყო. 21 წლის ბიჭს, უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ის ვიოლინოზე უკრავდა, საზღვარგარეთაც იყო ნამყოფი და ამბობდნენ, რომ საქართველოში მას დიდხანს არავინ გააჩერებდა და რუსები წაგვართმევდნენ, რათა მსოფლიოსთვის ენახებინათ უნიჭიერესი საბჭოთა მოქალაქე.

„მამამ დილით დამირეკა, საქმე მაქვს, მნახეო. გავედი, ვნახე, ვისაუბრეთ. იარაღი მაგიდაზე იდო, მერე დავემშვიდობე და წამოვედი. როცა ავტომობილში ვჯდებოდი, მამამ აივნიდან გადმომძახა, საღამოს მოდი და ერთად ვივახშმოთო. მე ხელი დავუქნიე, ჩავჯექი და წავედი. რაც შეეხება იარაღს, ხელში ავიღე, პირველად ვნახე ცეცხლსასროლი იარაღი და დავინტერესდი, შემდეგ კი დავდე და მამამ რა უყო, არ ვიცი. ეზოში მხოლოდ ერთი კაცი დავინახე, ჩვენი მეზობელია“, – განაცხადა ბიჭმა და მართლაც, მეზობელმა მამაკაცმა დაადასტურა, რომ როცა ბიჭი მანქანაში ჯდებოდა, მამამ ხელი დაუქნია ანუ შვილმა მშობელი ცოცხალი დატოვა და მკვლელი სწორედ მას შემდეგ მივიდა. იმის გათვალისწინებით, რომ კარი შიგნიდან იყო გაღებული, გარდაცვლილი მკვლელს კარგად იცნობდა, სახლში შეუშვა და რაც მთავარია, იარაღიც კი არ დაუმალავს ანუ მისი თანდასწრებით, არც იარაღის გამოჩენას მორიდებია.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვლელი და რაც მთავარია, რა მოტივი ამოძრავებდა მას? უფრო საინტერესო ის გახლდათ, რატომ არ დარეკა გარდაცვლილმა ან სასწრაფო დახმარებაში, ან მილიციაში, ან რატომ არ გააგებინა მეზობლებს და საერთოდ, რატომ შეხვდა ასე მშვიდად სიკვდილს? ექსპერტები კი ამბობდნენ, რომ ჭრილობა სასიკვდილო იყო და ექიმები მაშინვე რომ მისულიყვნენ, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. წესით, ეს დაზარალებულს არ უნდა სცოდნოდა, თუმცა...

„მე მგონია, რომ მას ეცოდინებოდა, ჭრილობა სასიკვდილო რომ იყო და ახლავე აგიხსნით, რატომ. ჩემი მეგობარი თავისუფალ დროს სულ სამედიცინო წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, ამბობდა, როცა პენსიაზე გავალ, საკუთარ თავს თავად უნდა მივხედოო და მედიცინაში საკმაო განათლება ჰქონდა. ტყვიამ რომ ღვიძლი გაუგლიჯა, ადვილად მიხვდებოდა, მაგრამ საოცარი ის არის, რატომ არ დაასახელა მკვლელი, რატომ გაუფრთხილდა მას“, – განაცხადა საწარმოს დირექტორმა.

სამართალდამცავები ფიქრობდნენ, რომ ის, ვიღაც, ვინც გაისროლა, გარდაცვლილისთვის ძვირფასი იყო. მამაკაცს ცოლი არ ჰყავდა (რამდენიმე წლით ადრე, უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა), არც საყვარელი (ყოველ შემთხვევაში, გრძელვადიანი ურთიერთობა არავისთან ჰქონდა) და შვილიც მხოლოდ ერთი, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა და ამბობდა, რომ ძალიან მალე, მისი ვაჟი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მევიოლინე იქნებოდა. სწორედ ამ დროს, ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა წამოაყენა ვერსია, რომ მამას სწორედ შვილმა ესროლა, ესროლა შემთხვევით, აკი ამბობდა, რომ იარაღი პირველად ნახა და სწორედ მის გადასარჩენად გაიხედა მამამ ფანჯარაში, მის გადასარჩენად და ალიბის შესაქმნელად დაპატიჟა საღამოს ვახშამზე და ეს იმის მიუხედავად, რომ კაცი მარტო ცხოვრობდა და სადღესასწაულო ვახშმის მომზადება არ შეეძლო. თუმცა, როგორ უნდა გამოეტეხათ შვილი იმაში, რომ მამა მოკლა? გეგმა შეიმუშავეს და შვილი დაკითხვაზე განყოფილებაში დაიბარეს. უფრო სწორად, ოფიციალურად, უმნიშვნელო დეტალების დასაზუსტებლად დაიბარეს. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა გამომძიებელი გარდაცვლილის შვილს არაფრისმომცემ კითხვებს უსვამდა, ოთახში მეორე გამომძიებელი შევიდა და იქ მყოფს სიხარულით უთხრა, ახალი აპარატი ჩამოიტანეს, ვინც იარაღს ისვრის, ის ტანსაცმელი, რომელიც ეცვა, საგულდაგულოდაც რომ გარეცხოს, დენთის კვალს მაინც ვერ წაშლის, ეს აპარატი საქმეებს გაგვიიოლებსო. ამის გაგონებაზე, მევიოლინე აშკარად ანერვიულდა, მაგრამ თავი მოთოკა. ის შინ მალე გაუშვეს, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ უკან სამი ოპერმუშაკი გაჰყვა – ერთი ქალი და ორი მამაკაცი. ბიჭი ნერვიულად დაჯდა საჭესთან და სახლში ძალიან სწრაფად წავიდა. ცოტა ხანში, ის ბინიდან ხელჩანთით გამოვიდა, მანქანაში ჩააგდო და ქალაქგარეთ აიღო გეზი. ოპერმუშაკები უკან მიჰყვნენ. ბიჭი გზიდან მალე გადავიდა, მანქანა მინდორში გააჩერა, ჩანთა ამოიღო, იქიდან პერანგი, შარვალი და მაისური გადმოყარა, მერე ბენზინი დაასხა და ცეცხლი წაუკიდა. ოპერებმა ის იქვე დააკავეს.

„ჰო, მამაჩემს მე ვესროლე. როცა იარაღი ავიღე ხელში, მამამ დამინახა და მითხრა, დატენილია, ასე არ უნდა გეჭიროს დატენილი იარაღიო და გამორთმევა დააპირა, მე კი ამ დროს, შემთხვევით, ხელი გამომეკრა სასხლეტზე. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მამამ ამიხსნა, რომ ვერ გადარჩებოდა, მაგრამ უტყუარ ალიბს შემიქმნიდა, ისიც მითხრა, რომ მე დიდი მომავალი მქონდა და ამის გამო, ხელი არ უნდა შემშლოდა. მერე მოხდა ის, რაც მოხდა, მამამ აივნიდან დამიძახა, მოწმეც იყო“, – განაცხადა დაკავებულმა.

ბიჭს მამის მეგობარმა საწარმოს დირექტორმა საუკეთესო ადვოკატი აუყვანა, მთელი თავისი სანაცნობო ჩარია და გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის ორწლიანი პირობითი (!!!) სასჯელი მისცეს, თუმცა როგორც ჩანს, მომხდარმა ბიჭზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. მან ჯერ საცხოვრებელი გამოიცვალა, მერე ქალაქი, მერე ქვეყანა და საბოლოო ჯამში, მისგან დიდი მევიოლინე არ დადგა.

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს ყველაფერი უფასო იყო. ყველაფერში კი საცხოვრებელს ვგულისხმობ – ბინას, რომელიც მოსახლეობას უფასოდ ეძლეოდა და თუ ოჯახი იზრდებოდა, იზრდებოდა ბინის ფართიც. ადამიანები მუშაობდნენ საწარმოებში, იდგნენ ბინის რიგში და იღებდნენ. მხოლოდ ლეონიდ ბრეჟნევის „გენსეკობის“ პერიოდში, საბჭოთა კავშირში, უფასო ბინა 170 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო, რაც უზარმაზარი ციფრია. ახლა კი, უფასო ბინები აღარ არის. სახელმწიფო საწარმოებიც რეალურად არ არსებობს, ყველაფერი კერძოა და არც ბინების რიგში დგანან ადამიანები, სახელმწიფო არ აშენებს უზარმაზარ მიკრორაიონებს, არ აშენებს მუქთა ბინებს და ყველას საკუთარი შემოსავლით უწევს საცხოვრებლის ყიდვა, რასაც ბევრი ვერ ახერხებს.

როგორ გამოსძალა თაღლითმა საქმრომ ქალს ათი ათასობით დოლარი

კრიმინალი სიყვარულის ალიბით

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, მაშინ მოხდა, როცა დედაქალაქში მშენებლობების ბუმი იყო. იმ პერიოდში, მშენებლობების ტემპი აგვისტოს ომმა დაამუხრუჭა, თორემ სწორედ მაშინ იყო, თბილისში ერთდროულად რამდენიმე ათეული კორპუსი რომ იგებოდა და გარდა იმისა, რომ მოსახლეობა იყო დასაქმებული, არც ისეთი ფასი ღირდა, როგორც ახლაა, მაგრამ ცხოვრება არა მარტო ჩვენთან გაძვირდა და ფასის მატებაც ლოგიკურია.

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა, რომელმაც სამართალდამცავებს უთხრა, რომ მისი მომავალი მეუღლე გაქრა და გაქრა მას შემდეგ, რაც სახლიდან დიდი ფულით გავიდა.

„ჩვენ თითქმის წელიწადია ერთად ვართ და ხელის მოწერასაც ვაპირებდით. მე ოროთახიანი ბინა მაქვს, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ახალ სახლში გადავსულიყავით, 100 კვადრატულის შეძენა გვინდოდა, მშენებელ კომპანიას მოველაპარაკეთ, 70% უნდა გადაგვეხადა, დანარჩენს მერე გადავიხდიდით, როცა ამ ბინას გავყიდდით. ჩემი მომავალი მეუღლე სწორედ ამ თანხით გავიდა სახლიდან და დარწმუნებული ვარ, გაიტაცეს, თანხა წაართვეს და ახლა სადმეა დაბმული“, – არეულად ლაპარაკობდა ქალი.

რა თქმა უნდა, საქმე აღიძრა და მამაკაცზე ძებნა გამოცხადდა. სამართალდამცავებმა მალე გაარკვიეს, რომ მისი მობილური სახლიდან გასვლის შემდეგ მალევე გამოირთო ანუ ლოკაციით მისი ძებნა გამორიცხული გახლდათ. ისიც გაირკვა, რომ დაკარგული ბინების გაყიდვების ოფისში არ მისულა და რაც მთავარია, ქალი ამტკიცებდა, ჩვენს გარდა არავინ იცოდა, რომ ფული იმ დღეს უნდა წაეღოო. უფრო ზუსტად, ქალი ამბობდა, მე არავისთვის მითქვამს და იმ უბედურს თუ წამოსცდა, არ ვიცი. ყველაფერი თავის ადგილზე მაშინ დადგა, როცა ქალს დაურეკეს და საქმროს გამოსყიდვის სანაცვლოდ, 50 ათასი მოსთხოვეს. ეს უზარმაზარი თანხა იყო, თუმცა...

„მე კარგი სამსახური მაქვს, აუცილებლად მომცემს ბანკი დიდ სესხს, ამას გარდა, ამ ბინას ხომ მაინც ვყიდდით. მთავარია, ჩემი საქმრო დავიბრუნო და დანარჩენი არ მაინტერესებს“, – მოთქვამდა ქალი და იმის მიუხედავად, რომ ძალოვნები ეუბნებოდნენ, ყალბ ფულს მოგცემთ, ის დადე მითითებულ ადგილზე, მერე კი, გამტაცებლებს აუცილებლად დავაკავებთო, სიყვარულით გადარეული ქალი თავისას არ იშლიდა, ნაღდი ფული უნდა მივიტანო, ჩემი საქმრო უნდა დავიბრუნო, თორემ იმას რომ რამე დაემართოს, თავს არ ვაპატიებ, ფულის გულისთვის საყვარელი ადამიანი როგორ დავკარგოო.

სამართალდამცავები დათანხმდნენ, რომ ქალს ნაღდი ფული დაედო, ჩასაფრება მოაწყვეს, მაგრამ ფულის ასაღებად არავინ გამოჩენილა. სამაგიეროდ, ქალს დაურეკეს და უთხრეს, რომ პოლიციელები შენიშნეს, რომ ის მათ ცუდად ეთამაშებოდა და საქმროს დაკარგავდა, თუ იგივეს გაიმეორებდა. პოლიციას ეჭვი გაუჩნდა, რომ რაღაც ისე არ იყო, რადგან მაქსიმალური კონსპირაცია მოახერხეს თითქოს და აგენტების გაშიფვრა მხოლოდ ნამდვილ პროფესიონალს შეეძლო. ის, რომ ქალის მატერიალური მდგომარეობის შესახებ გამტაცებლებმა კარგად იცოდნენ, გასაგები გახლდათ, ისინი მხოლოდ ბინის ფულს არ დასჯერდნენ და მეტი უნდოდათ. ფულის გადაცემის მეორე მცდელობაც კრახით დასრულდა, გამტაცებლები ისევ არ მივიდნენ და რაც მთავარია, ისევ დარეკეს, აქაოდა, პოლიციელები დავინახეთ და თუ კიდევ ერთხელ იგივეს იზამ, აღარ დაგირეკავთ, შენი საქმროს გვამის ადგილსამყოფელს შეგატყობინებთო. ქალს ნამდვილი ისტერიკა დაეწყო, სამართალდამცავები ლამის სცემა, აღარ გამომყვეთ, ჩემი საქმრო რომ მოკვდეს, ვერ გამაჩერებთ, ყველა ტელევიზიაში დავჯდები, გიჩივლებთ, არ გაპატიებთო. ძალოვნებმა პირობა მისცეს, რომ ქალს მარტო გაუშვებდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ შეასრულეს – მას მხოლოდ ორი ოპერმუშაკი გაჰყვა, მათ შორის, ერთი ქალი, ორივე ახალგაზრდა. პოლიციელები შეყვარებულ წყვილს თამაშობდნენ და ისე ვნებიანად ეხუტებოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, ვერავინ იტყოდა, თამაშობენო. ეს ლოგიკურიც იყო, საქმეზე სამართალდამცავებმა ცოლ-ქმარი გაუშვეს.

ქალმა ფული მითითებულ სამალავში დადო, იქაურობას სწრაფად გაშორდა, სკამზე ჩამომჯდარი მოსიყვარულე წყვილი კი მშვიდად აკვირდებოდა, ვინ მივიდოდა ფულის წასაღებად. ცოტა ხანში ძონძებში ჩაცმული მათხოვარი გამოჩნდა, ჯერ სანაგვეები ქექა, მერე იმ სამალავთან მივიდა, დიდხანს იწრიალა, ბოლოს კი იქაურობას ისე გაშორდა, არ დახრილა. ცოლ-ქმარი სწორედ იმ მათხოვარს გაჰყვა, იმის იმედად, რომ მან უბრალოდ ისევ იეჭვა, როგორც წინა შემთხვევებში და ფულს არ შეეხო. როცა მას დაეწივნენ და კარგად დააკვირდნენ, მიხვდნენ, რომ საქმე ნამდვილ მათხოვართან ჰქონდათ, შეუძლებელი იყო, იმ მცირე მონაკვეთში, ასე გასაცოდავებულიყო ადამიანი, ასეთი სუნი ჰქონოდა. უკან სამალავისკენ გაიქცნენ და ის ცარიელი დახვდათ. ისევ მათხოვარს მივარდნენ და განყოფილებაში ის მიიყვანეს.

„ვიღაც გოგო მოვიდა, უფროსო, 5 ლარი მომცა და მითხრა, ჯერ სანაგვესთან მიდი, იქექე, მერე იმის მოშორებით მიდი, ცოტა ხანს გაჩერდი, გაიხედ-გამოიხედე და მერე შენს გზაზე წადიო. თუ ამას გავაკეთებდი, კიდევ 5 ლარს დამიმატებდა, მაგრამ რომ წამოვედი, ამათმა დამიჭირეს“, – მშვიდად საუბრობდა მათხოვარი და უბანში, სადაც ის მათხოვრობდა, ბევრმა დაადასტურა, დიდი ხანია აქ არის, რა კრიმინალი და გატაცება, ძლივს დადისო.

ერთადერთი საგულისხმო, რაც მან თქვა, საქმეში ქალის გამოჩენა გახლდათ ანუ გამტაცებლები ერთი და ორი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, საქმეში ქალიც იყო გარეული. ახლა ორი ვარიანტი რჩებოდა – თუ გამტაცებლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ გატაცებულმა იცნო, ცოცხალს არ დატოვებდნენ, თუ არადა, გამოუშვებდნენ. მოლოდინი უსაშველოდ გაიჭიმა, ცალკე ქალი ტიროდა და მთქვამდა, ცალკე პოლიციელი ცოლ-ქმარი ნერვიულობდა, პრაქტიკანტებივით მოგვატყუეს და გაგვაცურესო. გატაცებული იმ დღეს არ გამოჩენილა, მეორე დღეს კი ძალოვნებმა მოულოდნელი ინფორმაცია მიიღეს – კაცმა, რომელიც წესითა და რიგით გატაცებული იყო, თბილისი-ლარნაკას რეისზე ბილეთი იყიდა და კვიპროსში გაფრენას აპირებდა. ამას გარდა, მისი ბარათით, კიდევ ერთი ბილეთი შეიძინეს და ის ქალს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები აეროპორტში წავიდნენ და „გატაცებული“ თანამგზავრთან ერთად დააკავეს.

„წლებია, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ ერთად ცხოვრება იმიტომ ვერ მოვახერხეთ, რომ ფული არ გვქონდა. მერე შემთხვევით, ეს ჩერჩეტი გოგო გავიცანი, უზარმაზარი ფული ჰქონდა და ისე შევუყვარდი, ყველა სურვილს მისრულებდა. როცა ვუთხარი, ახალი ბინა ვიყიდოთ, უფრო დიდი, შენგან ბევრი შვილები მინდა-თქო, სულ გადაირია. სამშენებლო კომპანიას მე მოველაპარაკე, მე გავაზრდევინე ფასი ანუ რეალურად, იმ დღეს ბინის 100% მიმქონდა და სამშენებლოში ვუთხარი, ცოტა სულელი ცოლი მყავს, ამ ფულს დამიხარჯავს და ვითომ 70%-ს ვიხდი, სინამდვილეში, სრულად დაგიფარავთ-მეთქი. ისიც ვიცოდი, 50 ათასის შოვნა რომ არ გაუჭირდებოდა, ვიზები გავაკეთეთ, მხოლოდ ბილეთების ყიდვა იყო საჭირო, მაგრამ არ ვიცოდით, ფულის გადაცემა სადამდე გაიჭიმებოდა. არ გვეგონა, აეროპორტებს თუ შეამოწმებდით, მე ხომ გატაცებული ვიყავი და ამაზე გავთვალე“, – განაცხადა დაკავებულმა.

მართლაც, სამართალდამცავებმა აეროპორტები კი გააფრთხილეს, ყოველი შემთხვევისთვის ანუ ძებნა მთელ ბაზაში ჩააგდეს, მაგრამ ის, რომ გაცემულ ვიზებზე არ მოიკითხეს, ეს მათი მინუსი იყო. დაზარალებულს ფული სრულად დაუბრუნდა, კაცს კი თაღლითობისთვის 6 წელი მისცეს. პირობითით გადარჩა გოგონა, რომელიც, სხვათა შორის, მათხოვარმა ვერ ამოიცნო, არ დავკვირვებივარო, მაგრამ მას აღიარებითი ჩვენება უკვე მიცემული ჰქონდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ფაიგ გულიევთან შეხვედრა გამართა.

ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლად დანიშნული ატაშე, ადილ ბაღიროვი წარუდგინა, რომელიც ახლახანს შეუდგა საქართველოში საქმიანობას.

ვახტანგ გომელაურმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოლიციის ატაშეს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ორ სახელმწიფოს შორის არსებული ინტენსიური თანამშრომლობის მნიშვნელობა სამართალდაცვის სფეროში. შინაგან საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პოლიციის ატაშეების მნიშვნელოვან როლზე თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაში. მხარეებმა ასევე ისაუბრეს სამომავლო პერსპექტივებზე და მზადყოფნა გამოხატეს აქტიურად გააგრძელონ თანამშრომლობა მომავალში სხვადასხვა მიმართულებით.

„კანონისა და წესრიგის“ გლობალური ანგარიშის მიხედვით, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ინდექსი გაუმჯობესებულია

საერთაშორისო კვლევითმა ორგანიზაცია Gallup-მა „კანონისა და წესრიგის“ ყოველწლიური გლობალური ინდექსი გამოაქვეყნა. Gallup-ის კვლევა 2022 წლის 8 აგვისტოდან 31 ოქტომბრამდე პერიოდში ჩატარდა და პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, 1 000 რესპონდენტი გამოიკითხა. ინდექსი ეფუძნება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება, დაცულობის შეგრძნება და მათი ნდობის ხარისხი სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართ. კვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წლის ანგარიშთან შედარებით, მიმდინარე წელს საქართველოს ინდექსი გაუმჯობესებულია და 87 ქულას შეადგენს. მინიჭებული ინდექსის მიხედვით, საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან: საფრანგეთი, იტალია, ავსტრალია, უნგრეთი, ბელგია, კანადა, იაპონია, ხორვატია და სხვა. ამავე კვლევის თანახმად საქართველო ადგილს ისეთი ქვეყნების გვერდით იკავებს როგორებიცაა ავსტრია, ნიდერლანდები და ჰონგ-კონგი. ასევე, საქართველოს მაჩვენებელი მხოლოდ 1-2 ქულით ჩამოუვარდება გერმანიის, შვედეთის, პორტუგალიის, ესტონეთის და ესპანეთის მაჩვენებელს.

ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, მისი მოადგილეები და ამავე დეპარტამენტის თბილისისა და რეგიონების მთავარი სამმართველოების უფროსები ესწრებოდნენ.

სამუშაო თათბირზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის, როგორც სოციალური, ისე სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლებას. მხარეებმა ისაუბრეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით გადადგმულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და მისი აღსრულების კუთხით მიღებულ შედეგებზე. თათბირზე ვახტანგ გომელაურმა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან ასევე მოისმინა ავტოსაგზაო შემთხვევებისა და დანაშაულის სტატისტიკის ანგარიში.

თათბირზე აღინიშნა, რომ როგორც წინა წლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკის განახლება სამომავლოდაც გაგრძელდება.

შინაგან საქმეთა მინისტრს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ ვითარებაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა და შესრულებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

სამუშაო თათბირის დასრულების შემდეგ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, რეგიონების მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელ პირებს საპატრულო პოლიციის ახალი ავტომობილები გადასცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრს, გერჰარდ კარნერს შეხვდა.

ორმხრივ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, ქეთევან ციხელაშვილი.

ავსტრიის რესპუბლიკაში ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივებზე ისაუბრეს. განსაკუთრებული ყურადღება საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული ნაყოფიერი ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გამახვილდა. ალექსანდრე დარახველიძემ ავსტრიულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და იმედი გამოთქვა, რომ არსებული ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრის ბოლოს, მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების დროს ურთიერთდახმარების და მათი პრევენციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია ასევე სახანძრო და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრსა და ვენის პოლიციის დირექციას ეწვია, სადაც დანაყოფების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნენ.

ვიზიტის დასასრულს, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მზად არიან, მომავალშიც აქტიურად გააგრძელონ ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

გრიგალაშვილმა ევროპის ფინალი დათმო

საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა პირველი მედალი მოიპოვა. -81 კგ წონით კატეგორიაში, ევროპის ორგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ტატო გრიგალაშვილმა ფინალური შეხვედრა „თურქ“ ვედატ ალბაირაქთან დათმო. თურქი ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩაგვისვამს – სინამდვილეში, ალბაირაქი ვანო ვაზაგაშვილია, ხოლო თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე გახლავთ. შესაბამისად, მარტივი მისახვედრია, რომ ფინალური შეხვედრის დროს, მწვრთნელთა მხრიდან ქართული შეძახილები ისმოდა.

ცოდვა გამხელილი სჯობს, კონტინენტის პირველობაზე, ჩვენი გუნდი თითქოს გადაღლილი გვეჩვენება. ლაშა გუჯეჯიანის ხელში ნაკრები არა მარტო ევროპაში, არამედ, მთელ მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალაა და წესით, მეორე საშეჯიბრო დღეს, უფრო მეტი და უფრო მაღალი სინჯის მედლები უნდა გვქონდეს.

გარსია კვარაცხელიას უფრთხილდება



იტალიურმა „ნაპოლიმ“ სერია A-ში მორიგი მატჩი მოიგო. როგორც წესი, ხვიჩა კვარაცხელიამ შეხვედრა ძირითადში დაიწყო, მაგრამ მწვრთნელმა ის ძალიან ადრე, 69-ე წუთზე შეცვალა. არადა, იმ დროისთვის ანგარიში 1:0 გახლდათ ანუ ნეაპოლელებს გარანტირებული გამარჯვება არ ჰქონდათ, თუმცა მატჩამდე რუდი გარსიას არ დაუმალავს, რომ ხვიჩას და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს უფრთხილდება და ცდილობს, ისინი ტრავმებს აარიდოს.

ჩვენი აზრით კი, ეს ყველაერი იმით არის გამოწვეული, რომ 8 ნოემბერს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის შეხვედრაში, „ნაპოლი“ ბერლინის „უნიონს“ მასპინძლობს და თუ გაიმარჯვებს, ჯგუფიდან გასვლას ინაღდებს. სწორედ აღნიშნული შეხვედრისთვის გადაინახა მწვრთნელმა კვარაცხელია და იმედი გვაქვს, დასვენებული ხვიჩა მეტოქეს უფრო მეტი ენერგიით შეუტევს.

თბილისის „დინამომ“ ითამაშა, მაგრამ აღარ ითამაშებს

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, თბილისის „დინამო“ არცთუ სახარბიელო დღეშია. ფეხბურთელები არ მალავენ, რომ სამი თვის განმავლობაში, ჯამაგირი არ მიუღიათ და ბოლო კვირა, ვარჯიშებზეც უარს ამბობდნენ. იყო ვარაუდი, რომ თბილისელები, საქართველოს ჩემპიონატის 32-ე ტურში, „თელავთან“ სათამაშოდ არ გავიდოდნენ, მაგრამ გავიდნენ, ითამაშეს, 4:0 მოიგეს და თუ შემდეგ მატჩამდე, რომელიც კვირის ბოლოს გაიმართება, დავალიანებას არ გაუსტუმრებენ, ბურთის გაგორებას აღარ აპირებენ.

„კლუბის პრეზიდენტი საზღვარგარეთ არის, ჩვენ კი ნორმალურ პასუხს არავინ გვცემს. გასაგებია ერთი თვე, მეორე თვე, მაგრამ სამი თვე ძალიან ბევრია. ჩვენ ოჯახებს, სწორედ ამით ვარჩენთ და ყველანაირი რესურსი და სახსარი ამოგვეწურა“, – გვითხრა „დინამოს“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა.

მიქაუტაძე არც ახალმა მწვრთნელმა ათამაშა

ამსტერდამის „აიაქსის“ მთავარ მწვრთნელად ჯონ ვან ტსხიპი დაინიშნა და გაჩნდა იმედი, რომ ახალი თავკაცი გიორგი მიქაუტაძეს თავის გამოჩენის შანსს მისცემდა. მით უმეტეს, რომ ამსტერდამელებს 2 ნოემბერს, გადადებული მატჩი ჰქონდათ ჩასატარებელი არცთუ ძლიერ „ვოლენდამთან“. თანაც, ნიდერლანდების ყველაზე ტიტულოვან კლუბს ბოლო ათ შეხვედრაში გამარჯვება არ ჰქონდა მოპოვებული და აღნიშნული შეხვედრის მოგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

რომ გითხრათ, „აიაქსმა“ იფრინა თქო, მართალი არ იქნება. მათ პირველ ტაიმში იჯახირეს, მეტოქე მხოლოდ მეორე ნახევარში გატეხეს და 2 გოლი გაუტანეს. რაც შეეხება მიქაუტაძეს, მან 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და მაშინაც კი, როცა გუნდს შეტევაში არაფერი გამოსდიოდ, მწვრთნელს მოედანზე მისი შეყვანა არ უფიქრია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთრის სატრანსფერო სეზონში, ქართველმა შემტევმა კლუბი აუცილებლად უნდა გამოიცვალოს და იჯარით წავიდეს. ამ ეტაპზე, მას არავინ იყიდის, რადგან „აიაქსმა“ მასში 16 მილიონი ევრო გადაიხადა და იმის გამო, რომ საერთოდ არ ათამაშებს, ახლა ამ თანხის ნახევარსაც არავინ მისცემს. ამიტომ, როგორც კლუბისთვის, ისე ფეხბურთელისთვის, ოპტიმალური ვარიანტი, სხვა კლუბში იჯარით წასვლა, იქ თავის გამოჩენა და შემდეგ, ან კვლავ „აიაქსში“ დაბრუნება და ძირითადში დასამკვიდრებლად ბრძოლა ელის, ან კლუბის საბოლოოდ გამოცვლა.

„მიქაუტაძე საოცარი ფეხბურთელია. ბოლო ფაზაში, გოლის გატანის საოცარი ალღო აქვს, მაგრამ ის „აიაქსის“ სათამაშო სტილს უნდა მოერგოს და ადაპტაცია გაიაროს“, – გაგიკვირდებათ და, ეს სიტყვები, ამსტერდამელთა ახალ მწვრთნელს, ჯონ ვან ტსხიპს ეკუთვნის.

მესი და რონალდუ წავიდნენ, კვარაცხელია მოდის

შესაძლოა, ცოტა ხმამაღალი სათაური გამოგვივიდა, მაგრამ მხოლოდ ჩვენი „ბრალი“ არაა, ამ მოსაზრებას ევროპული გამოცემებიც იზიარებენ. მას შემდეგ, რაც ლიონელ მესიმ „ოქროს ბურთი“ მერვედ მოიპოვა და ბევრის აზრით, უსამართლოდ, არგენტინელისთვის ამ ჯილდოს მიცემას ევროპული სააგენტოები ერთობ საინტერესოდ გამოეხმაურნენ.

„ეს გადაწყვეტილება ცოტა სენტიმენტალური, ცოტა ემოციური იყო, მაგრამ სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდეგ დადასტურდა – ევროპული ფეხბურთიდან ორი გიგანტი წავიდა – კრიშტიანუ რონალდუ და ლიონელ მესი. ისინი 15 წლის განმავლობაში დომინირებდნენ და საოცარი ეპოქა შექმნეს. ახლა სხვა ფეხბურთელების ჯერია, მათი, ვინც დაჯილდოვების ცერემონიალზე მორიდებით იდგნენ. საუბარი არ არის მხოლოდ ერლინგ ჰაალანდსა და კილიან მბაპეზე. მოდიან საოცარი ჯუდ ბელინგემი, გეორგე ჰაჯის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპიდან ხვიჩა კვარაცხელია გამოჩნდა, რომელსაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, იქვეა ვინიციუსი, მუსიალა და სხვები. სწორედ ეს ბიჭები იქნებიან „ოქროს ბურთის“ მთავარი პრეტენდენტები და ეგებ, იმაზე მეტი შექმნან, ვიდრე მესიმ და რონალდუმ“, – წერს ევროპული მედია.

ჰოდა, ამიტომ, ჩვენც თამამად ვწერთ, რომ კვარაცხელია მოდის. სწორედ რომ კვარაცხელია, რომელმაც პირველივე ევროპულ სეზონში, სერია A-ს საუკეთესო ფეხბურთელისა და ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი მოიპოვა და მისგან ძალიან ბევრს ველით. ისე, ერთ-ერთმა ევროპულმა გამოცემამ ისიც დაწერა, კვარაცხელია ის ფეხბურთელია, რომელსაც სტადიონის გავსება შეუძლიაო და რატომაც არა, სწორედ რომ შეუძლია!

მწარე სიმართლე – ტოტიმ დუმილი დაარღვია

იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი, ფრანჩესკო ტოტი, ბრწყინვალე კარიერის გარდა, იმითაც იყო გამორჩეული, რომ მან კარიერა ერთ კლუბში, „რომაში“ გაატარა და სხვა გუნდის მაისური არასოდეს მოურგია. მან „რომაში“ ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა და მთლიანობაში, 30-წლიანი კარიერის შემდეგ, „პენსიაზე“ გავიდა. ისე როგორ იქნებოდა, ლეგენდარული მოთამაშე და კაპიტანი „რომას“ მენეჯმენტში დასაქმდა, თუმცა იქიდან მალე წავიდა და ახლა ფეხბურთში აღარ საქმიანობს.

„რომაში“ 30 წელი გავატარე, უამრავ შემოთავაზებაზე ვთქვი უარი, არ წავედი მადრიდის „რეალშიც“ კი, მაგრამ ამ კლუბთან ჩემი ისტორია სამწუხაროდ დასრულდა. სიმართლე ისაა, რომ, როდესაც ფეხბურთში არავის სჭირდები, პატივისცემა ქრება. გადახედეთ, რა ადამიანები ვართ ფეხბურთს მიღმა – მე, პაოლო მალდინი, ალესანდრო დელ პიერო, რობერტო ბაჯო... ეს რაღაცას ნიშნავს, არა?“ – განაცხადა ტოტიმ.

ბობი ჩარლტონი მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა

მოგეხსენებათ, 21 ოქტომბერს, ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა, სერ ბობი ჩარლტონი გარდაიცვალა. 1966 წელს, მან ინგლისის ნაკრებთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და ამას გარდა, საკლუბო კარიერის განმავლობაშიც, არაერთ ტიტულს დაეუფლა. ახლა კი გაირკვა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა და, რაც მთავარია, ინგლისში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, მოხუცთა თავშესაფარში, უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

„ჩარლტონი ნატსფორდში არსებულ მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა. აღნიშნულ დაწესებულებაში დემენციით დაავადებულ პაციენტებს უვლიან და ვინაიდან, ჩარლტონი სწორედ დემენციით გახლდათ დაავადებული, ოჯახის წევრებმა მისი იქ მიყვანა გადაწყვიტეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ყოფილმა ფეხბურთელმა წონასწორობა სკამიდან წამოდგომისას დაკარგა, ჯერ ფანჯრის რაფას ჩამოარტყა თავი, შემდეგ გამათბობელს დაეცა და ნეკნები გაიტეხა. ამან კი პნევმონია გამოიწვია და მომხდარიდან 5 დღეში, ჩარლტონი გარდაიცვალა“, – ეს განცხადება საგამოძიებო სამსახურმა გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ჩარლტონის გარდაცვალების მეორე დღეს, ოჯახმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ სერ ბობი ოჯახურ გარემოში, სიმშვიდეში გარდაიცვალა.

დევისი-სმოლნიკის წყვილმა მორიგი გამარჯვება იზეიმა

დიანა დევისმა და გლებ სმოლნიკამ საქართველოს სახელით გამოსვლა ცოტა ხნის წინ გადაწყვიტეს და უკვე მეორე საერთაშორისო ტურნირზე იმარჯვეს. თუ რამდენიმე თვის წინ, მათ ლეიკ პლესიდის (აშშ) პრესტიჟული ტურნირი მოიგეს, ახლა, არანაკლებ საინტერესო და ძლიერ ტურნირზე იპირველეს.

„დენის ტენის მემორიალი“ ასტანაში გაიმართა და დევისი-სმოლნიკის წყვილმა, საბოლოო ჯამში, 192.67 ქულა დააგროვა, რაც პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. მეორე ადგილზე გერმანული წყვილი გავიდა, მესამეზე – უკრაინული. შეგახსენებთ, რომ დიანა დევისი რუსეთში მოღვაწე წარმატებული მწვრთნელის, ეთერ თუთბერიძის ქალიშვილია.

ქართველი პოლიციელების დატყვევებიდან – ბუნტურის მკვლელობამდე

მე-3 გვერდიდან

მსგავსი ვითარება შეიქმნა 2008 წელსაც, კოდორში, სადაც ჩემი შუათანა ვაჟი, ლეიტენანტი, ოცმეთაური მიხეილ თათუხაშვილი თავის ოცეულთან ერთად იმყოფებოდა. მიხეილმა დამირეკა და მითხრა, ორი-სამი დღის ჩასულები ღია ადგილზე დაგვაყენეს და როგორც კი დაბომბვა დაიწყო, აქაური მეთაურები „ბუნკერში“ დაიმალნენ. არც ამოცანა გვაქვს, არც – ტყვია-წამალი, არც – საჭმელი... ასე მხოლოდ მე და ჩემი ოცეული კი არ ვართ, სხვადასხვა დანაყოფიდანაც გვიერთდებიან. ვერ გებულობენ, რა ხდება და რა გააკეთონ. შენთან ნაომარი ვეტერანებიც ჩემთან არიან და მითხარი, რა ვქნათო? ვუთხარი, შვილო, შანსი მოგეცა, გვერდით ვაჟკაცები გიდგანან და თვალებში გიყურებენ, წინიდან რუსი მოდის, ზურგიდან „ბუნკერია“, სადაც არაფრის გადამწყვეტი და გამკეთებელი ხელმძღვანელობაა. ასეთი შემთხვევა ბევრჯერ მქონია. შევარდით, განაიარაღეთ მეთაურობა, პასუხისმგებლობა და მეთაურობა შენს თავზე აიღე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა, მაგათ თბილისში გავუსწორდებიო... დანარჩენი, ყველამ იცის, როგორ მოხდა. ისე, 2008 წლის მოვლენებზე მერე ვისაუბროთ...

მოკლედ, 2004-ში, ოპერატიული ინფორმაციით, ამოღებულ იქნა დიდძალი შეიარაღება, რომელიც საქართველოში, ცხადია, არაოფიციალურად შემოდიოდა. ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი შემთხვევის ადგილიდან პოლიტიკურ შეფასებებს აკეთებდნენ. ხმა გავარდა, ნაბზდროვი ტექნიკით მოდისო. პოლიტიკოსები იქაურობას გაერიდნენ, მე კი მიბრძანეს, რომ ნაბზდროვს დავხვედროდი და დავლაპარაკებოდი. რამდენიმე წუთში, ჯავშანტექნიკისგან შემდგარი რუსული კოლონაც გამოჩნდა. ნაბზდროვი მანქანიდან გადმოვიდა და ინტერვიუების მიცემა დაიწყო. მახსოვს, ინტერვიუს მეც რომელიღაც რუსულ არხს ვაძლევდი. ნაბზდროვმა ისე ჩამიარა, რომ არც მომესალმა. არც მე მივესალმე, რადგან უკვე სამვარსკვლავიანი გენერალი ვიყავი, ის კი – ორი. გვერდი-გვერდ მივდივართ ანუ იმ ოთახისკენ მივემართებით, სადაც სალაპარაკოდ უნდა დავსხდეთ. თავის ოფიცრებს განკარგულება მისცა, რომ მოლაპარაკებას კიდევ სამი ოფიცერი დასწრებოდა. მახსოვს, ერთ-ერთი პოლკოვნიკი პრიახინი იყო. ანალოგიური ბრძანება მეც გავეცი, რომ ჩემი მოადგილე, გენერალი ვლადიმერ იმნაძე და სამშვიდობო ძალების მაშინდელი მაღალჩინოსნები, პოლკოვნიკები – გივი გუგუციძე და მიხეილ ქებაძე მოსულიყვნენ. ნაბზდროვი გზადაგზა ტელეფონით განკარგულებას გასცემდა, რომ მაგალითად, სატანკო შენაერთი მზადყოფნაში მოეყვანათ და ა.შ. როგორც იქნა, ტელეფონი გათიშა. ერთდროულად დავსხედით. ამდენი რამის ჩაყლაპვა შეუძლებელი იყო. ახლა მე „დავქოქე“ მობილური – ყველა დანაყოფს, რაც მყავდა და არ მყავდა, მივეცი ბრძანება, რომ საბრძოლო მზადყოფნაზე გადასულიყო. ტელეფონი რომ გავთიშე, წამოვდექი, ნაბზდროვთან ძალიან ახლოს მივედი და კბილებში გამოვუცერი : „Сука, я сейчас авиацию подниму и пережгу вас на х…й!“ მომიგო: „Гоги, садись, ну хоть и мы с тобой всё время ругаемся, мне с тобой всегда приятно говорить !“

ბოლოს და ბოლოს, ვისაუბრეთ. ამტკიცებდა, ეს კოლონა რუსეთის სამშვიდობო მისიის ჰუმანიტარული ტვირთია და საქართველოს მხარეს უფლება არ ჰქონდა, არათუ გაეჩხრიკა და დაეპატიმრებინა, არამედ, გაეჩერებინაო. საუბარი ისევ დაიძაბა. ვუთხარი, იმ ბიჭუნას ვგავარ, რომელსაც თქვენი სამშვიდობო მისიისა სჯერა?! ეს უკვე მოძველებული ილეთია, აფხაზეთში მოიტყუეთ და ჰუმანიტარული ტვირთის ეგიდით, ტყვარჩელში შეიარაღებით სავსე კოლონა შეიყვანეთ-მეთქი. მირჩია, მოდი, დავმშვიდდეთ, ასეთი არაფერი გამიგიაო. კი ბატონო, დავმშვიდდეთ, მაგრამ გვერდით ფსბ-ს პოლკოვნიკი პრიახინი გიზის და მაგას შეეკითხე – მაშინაც ეგ მონაწილეობდა და ახლაც კოლონა მან მოამზადა-მეთქი. ასევე, ვუთხარი, რომ 1992 წლის ხელშეკრულების თანახმად, ეს შეიარაღება არ უნდა შემოსულიყო კონფლიქტის ზონაში და პირიქით, თუ სადმე შემორჩენილი იყო, უნდა გასულიყო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ვარ, სახეზე კანონის დარღვევაა, ამ მასალებსა და ნივთმტკიცებას – ამოღებულ საბრძოლო მასალას საგამოძიებო ორგანოებს გადავცემ და ექსპერტიზამ დაამტკიცოს, ეს საბრძოლო მასალაა თუ ჯართი. იქნებ, სალაპარაკოდაც არ ღირს. ამ ეტაპზე, საქართველოს კანონის დარღვევა სახეზეა და დანარჩენი ჩვენმა ზემდგომმა პოლიტიკურმა პირებმა გადაწყვიტონ, ჩვენ რატომ ვკამათობთ-მეთქი?

საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ სანამ პოლიტიკოსები მოილაპარაკებდნენ და გადაწყვეტილებას მიიღებენ, იარაღით დატვირთულ კოლონას ჩემს მთავარ სამმართველოში დავაყენებდი. ასე დავცილდით.

ნაბზდროვი უბრალო სამხედრო გენერალი იყო. იმ შეხვედრაზე არა, მაგრამ სხვა დროს მითხრა, შენზე ნაწყენი არ ვარო და ისიც ამიხსნა, რომ სანამ მთავრობა შეიცვლებოდა, მუდმივი წილი ჰქონდა. ახლა კი, ქართველები და ოსები ერთად სვამენ და ჭამენ, სანადიროდ დადიან, კონტრაბანდასაც ერთად აკეთებენ, მე კი საერთოდ ამომაგდეს წილიდანო, – გამომიტყდა. შენ ხომ იცი, რომ ფინანსებთან კავშირი არ მაქვს?! – ვუთხარი. კი, შენი ყველაფერი ვიციო, – მომიგო და დასძინა, ყველაფერი ეს ძალიან ცუდად დამთავრდებაო. ასევე, აღიარა, ამ მოვლენებზე გაბრაზებულმა ვთქვი, რომ პოლიციის პოსტებს ავიღებ და იქ ჩემებს დავაყენებ, მაგრამ ეს მხოლოდ ქართულ პოსტებზე არ მითქვამსო. ამით ნაწილობრივ დაადასტურა მიშა ქარელისგან მთავრობამდე მიტანილი ინფორმაცია, რის შემდეგაც პოლიციის საგუშაგოების დაცვა შინაგან ჯარს დაევალა.

მოკლედ, ვიმეორებ: ეს დაცვა იყო და არა – ცხინვალზე შეტევა.

2004 წელს, ყველაზე დიდი შეტაკება, რეალურად, აგვისტოში, გამთენიისას მოხდა. წვერიახოს ოპერაციამდე ორი დღით ადრე, ოქრუაშვილი და ნიკოლეიშვილი ჩემთან მოვიდნენ – ოსების პოზიციები აინტერესებდათ. მდგომარეობა დაახლოებით და მოკლედ აღვუწერე. ისიც ვუთხარი, რომ იქ ჩემი დაზვერვა შეუმჩნევლად შედიოდა და გამოდიდა. სოფელ ერედვის გარშემო განლაგებულ ოსურ პოზიციებზე, ძირითადად, წვერიახოზეც ვისაუბრეთ...

ოქრუაშვილი და ნიკოლეიშვილი, გულუას სპეცრაზმელებთან ერთად, ოსების მძინარე პოსტს გამთენიისას დაადგნენ და ბრძოლა დაიწყეს... გაუჭირდათ. დახმარებისთვის გენშტაბის უფროსს, გენერალ გივი იუკურიძეს დაურეკეს, რომელმაც უარი უთხრა, რადგან წვერიახოზე თავდაცვის სამინისტროს ძალების ასვლა ომის დაწყებას ნიშნავდა, პრეზიდენტის ბრძანების გარეშე, ჯარს ვერ დავძრავო. შემდეგ, ჩემს პირველ ოპერატიული ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ როინ გიგიაძეს დაურეკა, რომლის რაზმიც კეხვი-თამარაშენის ძალიან საპასუხისმგებლო ზონაში იყო განლაგებული. გიგიაძემ მიუგო, მზადა ვარ, დაგეხმაროთ, თუ სარდალი მიბრძანებსო და დამირეკა. ცოტა ხანში ოქრუაშვილმაც დამირეკა და დახმარება მთხოვა. მათ გამოსაყვანად ჩემი სპეცდანიშნულების რაზმი გავუშვი. როგორც კი ჩემები ავიდნენ, ოქრუაშვილის ჯგუფმა პოზიციები დატოვა და თან ერთი პატარა ბიჭის გვამი წაიღო. ამასობაში, შეტაკების ზონისკენ ძალები ოსებმაც გადმოისროლეს. შინაგანი ჯარის მებრძოლები, პოლკოვნიკ გოჩა მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, მხოლოდ კი არ იბძროდნენ, არამედ, ნაალაფარ ორ ოსური ბმპ-საც არემონტებდნენ, რათა თან წამოეღოთ. საბოლოოდ, ერთის აეფეთქება მაინც მოუწიათ, მეორე კი ჩამოიყვანეს.

19 აგვისტოსათვის, პოზიციები შინაგან ჯარს კი არა, თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებს ეკავა. ოსურ-რუსულმა მხარემ მასიური დაბომბვა დაიწყო – თითქმის ყოველ ორ საათში, ორი-სამი მებრძოლი იღუპებოდა. მანამდე გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ იმ დღეს აპირებდნენ შეტევას. შუაღამისას, როცა დაბომბვა დაიწყეს, მაშინვე ვარიანში ჩავედი. შინაგანი ჯარის ბაზაზე შესვლისას, თავდაცვის სამინისტროს პირველი ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი კობა ლაჭყეპიანი შემხვდა, რომელმაც მდგომარეობა მომახსენა და დაამატა, მთელ ბატალიონს გამინადგურებენო. შევეკითხე, შენს უშუალო ხელმძღვანელობას თუ ელაპარაკე, ვინმეს დაუკავშირდი-მეთქი? მომიგო, გენშტაბის უფროსს ვურეკავ, მაგრამ არ მპასუხობსო. ვიცი, სადაცაა და რატომაც ვერ გპასუხობს-მეთქი. შემეკითხა, მაგის მოადგილეები გორში არიან, კაპანაძესაც ვურეკავ, მაგრამ ისიც არ მპასუხობს, ტელეფონები სხვა ზემდგომ მეთაურებსაც გათიშული აქვთ, ხელმძღვანელობასთან კავშირი არ მაქვსო. ამასობაში ვარიანი კი არა, გორი ზანზარებს. შინაგან ჯარში სრული მზადყოფნა გამოვაცხადე. რუსების სამშვიდობო ძალების შტაბში ჩვენს წარმომადგენელს, პოლკოვნიკ გივი გუგუციძეს დავუკავშირდი და მშვიდობიანი ნოტა გადავეცი. ასევე, ვიკითხე, თუ სად იყო გენერალი ნაბზდროვი. მითხრა, ჩემს გვერდითააო. ახლავე უთხარი, სროლა ათ წუთში შეწყდეს, რადგან ბევრია დაჭრილი და დაღუპული. თუ არადა, მეც გავცემ ბრძანებას საპასუხო ცეცხლზე-მეთქი. ნაბდზოროვთან შეხვედრის მზადყოფნაც გამოვთქვი. გავიდა ათი წუთი. მითხრეს, სროლას ვერ ვწყვეტთ – არტილერიასთან კავშირი არ გვაქვსო. დავურეკე და კიდევ სამი წუთი მივეცი. მხოლოდ ამის შემდეგ გავეცი ბრძანება, რომ შინაგანი ჯარის საარტილერიო შენაერთს საპასუხო ცეცხლი გაეხსნა და მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები გაეუვნებელეყო. დიახ, პირადად გადავწყვიტე და გავეცი ბრძანება, რათა თავდაცვის სამინისტროს ქართული ბატალიონი ჩახოცვას გადამერჩინა! ვისაც როგორც უნდა, ისე ჩათვალოს, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი და ამ ქმედებაზე სრულ პასუხისმგებლობასაც ვიღებ!

რაც შეეხება კონფლიქტის ზონაში საპასუხო ცეცხლის კოორდინატებს, სანამ შინაგანი ჯარი იდგა, ყველა სამხედრო ობიექტისა და საცეცხლე წერტილის ზუსტი კოორდინატები გვქონდა. შინაგანი ჯარის გასვლის შემდეგ, როცა პოზიციები თავდაცვის სამინისტრომ დაიკავა, მე და გენერალი ემზარ ჭოჭუა გავდიოდით და ვიღებდით საცეცხლე წერტილების ზუსტ კოორდინატებს, გეგმას ვუკეთებდით კორექტირებას. სხვათა შორის, ყოველი გადასვლისას, ჩვენების მხრიდან ერთგვარი წინააღმდეგობა გვხვდებოდა, ვის გაუგია, ორი გენერალი, პატარა სადაზვერვო ჯგუფით, მტრის ზურგში დაზვერვაზე შედიოდესო? ზუსტად ასე იყო და ამიტომაც, საარტილერიო ცეცხლის შესახებ ჩემ მიერ გაცემულ ყველა ბრძანებაზე პასუხს პირადად ვაგებ!

ასევე, პასუხს ვაგებ ჩემი არტილერისტების პროფესიონალიზმსა და ზუსტ გასროლაზე, რადგანაც საარტილერიო შენაერთს თავისი საქმის ისეთი მეტრები ამზადებდნენ, როგორებიც გენერალი ემზარ ჭოჭუა, პოლკოვნიკი დიმიტრი რიაზანცევი და კაპიტანი ერეკლე ყულოშვილი (2008 წელს გმირულად დაიღუპა) იყვნენ.

საპასუხო ცეცხლის შემდეგ, ცხინვალიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ თვითონ აღარ ისროდნენ და სროლა მეც შემეწყვიტა.

– დათანხმდით?

– მივუგე, სროლის უცაბედად შეწყვეტა ძნელია და უცებ ვერც თქვენ შეწყვეტთ. არტილერიასთან კავშირი გამიწყდა და როგორც კი აღვადგენთ, მაშინვე შევწყვეტ-მეთქი. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ უშუალოდ ჩემი ბრძანებით, შინაგანი ჯარის საარტილერიო შენაერთი, გენერალ ემზარ ჭოჭუას მეთაურობით, ესროდა მხოლოდ ჩვენ მიერ, წინასწარ მონიშნულ საცეცხლე წერტილებს, მათ შორის, ცხინვალშიც. სხვათა შორის, ძალიან ზუსტი და უსაფრთხო სროლისთვის უცხოელი დამკვირვებლების შექებაც კი დავიმსახურეთ, ქართველებმა შესანიშნავი სროლა ისწავლეთო. გენერალი ემზარ ჭოჭუა, პოლკოვნიკები – გივი გუგუციძე და კობა ლაჭყეპიანი ამ სიტყვებს ნებისმიერ დროს დაადასტურებენ...

ფოტოს ტელეფონის „ქეისზეც“ გამოიტანთ

სწავლულებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, iPhone-თვის ახალი „ქეისი“ შექმნეს, რომელსაც უკანა მხარეს გამოსახულების გამოტანა შეუძლია. ეს ნივთი, დახლოებით, 80 დოლარი ღირს. თავად პანელი ჩიხოლზე ფერადია და, პრაქტიკულად, არანაირ გავლენას არ ახდენს ტელეფონის ელემენტის მუშაობაზე. კვება მხოლოდ იმ დროს სჭირდება, როცა NFC-ის საშუალებით, შეკვეთის განახლება ხდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაჯეტი დაჯდება, „ქეისზე“ შესაძლებელი იქნება თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან ფოტოს გამოტანა და ნუ შეგეშინდებათ, ის არ გაქრება.

ტელეფონის მოწყობილობები მილიარდერებისთვის

კომპანიამ Golden Concept, წარადგინა Apple-ის გაჯეტების ექსკლუზიური ნაკრები, რომელიც პლატინითა და ბრილიანტებითაა დამზადებული. კოლექცია, სახელწოდებით – „მილიარდერის გაჯეტები“ 250 ათას დოლარად არის შეფასებული. კომპლექტში შედის სმარტფონი iPhone 15 Pro Max, უსადენო ყურსასმენები AirPods Max, „ჭკვიანი“ საათი Apple watch Ultra 2 და მექანიკური საათი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს კომპანია Apple-თან. ყველა მოწყობილობას პლატინის კორპუსი აქვს და სხვადასხვა ხარისხისა და წონის ბრილიანტებითაა შემკული. ყველაზე ძვირადღირებული გაჯეტი ნაკრებში, რასაკვირველია, ბოლო iPhone-ია, რომელიც 213 გრამს იწონის და მთლიანობაში, 2 448 ბრილიანტითაა აღჭურვილი. მათი საერთო წონა 36.72 კარატია.

ნარკოდამოკიდებულებს ვაქცინით უშველიან

ბრაზილიის მინას-ჟერაისის უნივერსიტეტის სწავლულებმა ახალი პრეპარატი შეიმუშავეს ნარკოდამოკიდებული ადამიანებისთვის, რომელიც „კოკაინის“, ან „კრეკის“ მოხმარების შემდეგ, ხელს უშლის სასიამოვნო შეგრძნებების წარმოქმნას. პრეპარატი Calixcoca უკვე გამოსცადეს მღრღნელებზე. ვაქცინა იწვევს ორგანიზმის იმუნურ პასუხს, რომელიც ბლოკავს ნარკოტიკული საშუალებების მოქმედებას ადამიანის ტვინზე და ხელს უშლის ეიფორიის, ჰალუცინაციებისა და ლეთარგიის გაჩენას. პრეპარატი აიძულებს იმუნურ სისტემას, გამოიმუშაოს ანტისხეულები, რომლებიც სისხლში ნარკოტიკების მოლეკულებს უერთდებიან. ამის გამო, მოლეკულები ძალიან დიდდებიან და ვეღარ „ეტევიან“ ტვინის მეზოლიმბურ გზაზე, რომელიც „ჯილდოს მიღების“ სისტემად არის ცნობილი. სწავლულები ახლა არკვევენ, როგორი უნდა იყოს ვაქცინის ოპტიმალური დოზა. ამის შემდეგ, უკვე შესაძლებელი იქნება ადამიანებზე ცდების დაწყება. მკვლევარები აცხადებენ, რომ მათ უკვე 3 ათასზე მეტი მოხალისე დაუკავშირდათ, რომლებიც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ კლინიკურ ცდებში.

ფსიქიკურ დაავადებას სისხლის ანალიზით დაადგენენ

ბრიტანელმა სპეციალისტებმა, კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, სისხლის ტესტი შეიმუშავეს, რომელსაც ბიპოლარული აშლილობის დიაგნოსტირება შეუძლია. ბიპოლარული აშლილობა განწყობის ცვალებადობით ხასიათდება, მანიიდან დეპრესიამდე. დაავადების გამოვლენის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტები სპეციალისტებს ხშირად დეპრესიული ფაზის დროს მიმართავენ და არაფერს ამბობენ მანიაკალურ ფაზაზე. ამის გამო, მათ დიაგნოზს შეცდომით უსვამენ. ბრიტანელმა სპეციალისტებმა სისხლში განსაზღვრეს ბიომარკერების ნაკრები, რაც ახასიათებს ბიპოლარულ აშლილობას. ამის საშუალებით განასხვავეს აშლილობა კლინიკური დეპრესიისგან. კვლევების შედეგები ამტკიცებს, რომ მომავალში შესაძლებელია სისხლის ანალიზის გამოყენება ბიპოლარული და დიდი დეპრესიული აშლილობის დიფერენციული დიაგნოსტიკისთვის. დღეისთვის, ბიპოლარული აშლილობით დედამიწის ყოველი მე-100 მცხოვრები იტანჯება. ამასთან, პაციენტთა დაახლოებით 40% თავიდან შეცდომით სხვა დიაგნოზს უსვამენ.

მიქელანჯელოს საიდუმლო ოთახი ტურისტებისთვის გააღეს

ფლორენციაში, მნახველებისთვის პირველად გაიღება აღორძინების ხანის გენიოსის, მიქელანჯელოს საიდუმლო ოთახი, რომელიც სან-ლორენცოს ბაზილიკის შენობაში მდებარეობს. დიდი შემოქმედი იქ მაშინ მოხვდა, როცა მედიჩების ოჯახის რისხვა დაიმსახურა: 1527 წელს, ბუონაროტიმ მხარი დაუჭირა ბუნტს მათ წინააღმდეგ. მაშინ ტაძრის წინამძღვარმა მხატვარს ნება დართო, ყოფილიყო ოთახში, რომელიც სამხვერპლოს თავზე მდებარეობდა. მიქელანჯელო იქ მანამდე ცხოვრობდა, ვიდრე ძლევამოსილმა მფარველებმა არ აღადგინეს მასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა. 10 კვ მეტრი ფართობის ოთახში, რომელსაც სამმეტრიანი ჭერი ჰქონდა, მხატვარმა კედლები უამრავი ჩანახატით დაამშვენა. სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ ნახატების ნაწილი მაინც ნამდვილად დიდი ოსტატის ხელს ეკუთვნის. მიქელანჯელოს ეს საიდუმლო ოთახი 1975 წელს აღმოაჩინეს. ამ მომენტიდან, ნახშირითა და სანგვინით (მუქი წითელი რბილი ფანქარი) შესრულებული ნამუშევრების ნახვა მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეებსა და რესტავრატორებს შეეძლოთ. ახლა კი, ნოემბრის შუა რიცხვებიდან, ოთახში ყველა მსურველს შეუშვებენ. ერთი კვირის განმავლობაში, საიდუმლო ოთახის ნახვას მხოლოდ 100 ვიზიტორი შეძლებს.

დათვებს რობოტებით აფრთხობენ

იაპონიის სხვადასხვა ნაწილში, დაახლოებით, 200 რობოტი-მგელი განათავსეს, დათვებისა და სხვა გარეული ცხოველების დასაფრთხობად. რობოტების სიგრძე 120 სმ-ია, სიმაღლე – 90 სმ. ასეთ მგელს შეუძლია თავის ამოძრავება, ხმოვანი და შუქის სიგნალების გაშვება. კერძოდ, მექანიზებულ მგლებს ყმუილი, ასევე, ძაღლების ყეფისა და თოფის გასროლის ხმების იმიტირება შეუძლიათ. ამის მიუხედავად, იმ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებმა, რომელთა სიახლოვესაც ეს რობოტები განათავსეს, მგლების დიზაინი გააკრიტიკეს და მას არადამაჯერებელი უწოდეს. თუმცა, ავტორები აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში, ხელოვნურობის ელემენტი აუცილებელია, რათა ადამიანებმა რობოტების ნამდვილი მგლებისგან გარჩევა შეძლონ და არ შეეშინდეთ.

წლის სიტყვა დაასახელეს

ინგლისური ენის ბრიტანულმა ლექსიკონმა Collins Dictionary წლის სიტყვა დაასახელა. წელს ეს აბრევიატურაა – AI (Artificial Intelligence), რაც „ხელოვნურ ინტელექტს“ ნიშნავს. ლექსიკონის შემდგენლები ხელოვნურ ინტელექტს განსაზღვრავენ, როგორც „ადამიანის ფსიქიკური ფუნქციის მოდელირებას კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით“ და მას მომდევნო, დიდ ტექნოლოგიურ რევოლუციად მიიჩნევენ. სხვა პოპულარულ სიტყვებს შორის წეუს გამოარჩიეს, ასევე, Nepo Baby (ცნობილი ადამიანის წარმატებული შვილი), ULEZ (ზონები ლონდონში, სადაც არ უშვებენ მძღოლებს არაეკოლოგიური მანქანებით) და სხვა.

ნაკლები ძილი ტვინს აჯანსაღებს?

სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ შედარებით ხანმოკლე ძილი არ ვნებს თავის ტვინს. მკვლევარებმა თითქმის 4 ათასამდე ადამიანის მრტ-ის მონაცემები გააანალიზეს და დაასკვნეს, რომ კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობისთვის, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, 6.5 საათის ძილი საკმარისი იყო. შედარებით ხანგრძლივი ძილი უკავშირდება ტვინის რუხი ნივთიერების მოცულობის დაკარგვას მის უკანა ნაწილებში, ხოლო უფრო ხანმოკლე ძილისას – თეთრი ნივთიერების დაკარგვას თალამუსში. შედეგების მიხედვით, სწავლულებმა დაადგინეს ძილის ხანგრძლივობის ახალი, ოპტიმალური პერიოდი. აღმოჩნდა, რომ მკვეთრი გადახრები თავის ტვინის სტრუქტურებში დარღვევებს იწვევს.

ჰოთ-დოგი სიცოცხლეს გვიმოკლებს

ამერიკელმა სწავლულებმა, მიჩიგანის უნივერსიტეტიდან, ჯანსაღი კვების სპეციალური ინდექსი შექმნეს, რომელის მიხედვითაც შეიძლება დაითვალო ორგანიზმისთვის „სასარგებლო“ და „მავნე“ დატვირთვის რაოდენობა. ამის გათვალისწინებით, მკვლევარებმა 5800-ზე მეტი პროდუქტი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ყოველი შეჭმული ჰოთ-დოგი სიცოცხლეს 36 წუთით გვიმოკლებს, კაკლის ერთი ულუფა კი – 26 წუთით გვიხანგრძლივებს. ასევე, ხორცის ხშირად ჩანაცვლება ხილით, ბოსტნეულით, პარკოსნებითა და ზღვის პროდუქტებით, ყოველდღიურად, სიცოცხლეს 48 წუთით გაგვიხანგრძლივებს.

ტვინის დაავადებას კალმით დაადგენენ

ტვინისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების დიაგნოსტირებისთვის ადრეულ სტადიებზე სპეციალური ციფრული კალამი შეიქმნა. სიახლე აშშ-ის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სწავლულებმა წარადგინეს. მოწყობილობა ძალიან მარტივია გამოსაყენებლად: დიაგნოსტიკისთვის საკმარისია, ამ კალმით რამდენიმე ნახატი გაკეთდეს. გაჯეტი მაღალი სიზუსტით და სიჩქარით განსაზღვრავს, აქვს თუ არა ამ კალმის მომხმარებელ ადამიანს ცენტრალური ნერვული სისტემის ზოგიერთი დაავადების ადრეული სიმპტომები, მათ შორის, ალცჰაიმერისა და პარკინსონის დაავადებების. ამ ინოვაციურ კალამში სპეციალური ვიდეოკამერაა ჩამონტაჟებული, რომელიც კალმის წვერისა და ფურცლის მდებარეობას აკვირდება, წამში 80 კადრის სიხშირით. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის წყალობით, დაავადების ადრეული სტადიების უმცირესი ნიშანიც კი გამოვლინდება.

სასმელი წყალი დეფიციტი გახდება

მეცნიერთა მონაცემებით, 25 წლის შემდეგ, ყველაზე მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სასმელი წყლის დეფიციტი იქნება. მისი მარაგი საკმარისი არ იქნება, რომ მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ასეთი შემაშფოთებელი მონაცემები გამოაქვეყნა წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა. ერთი ადამიანის საკვებით უზრუნველსაყოფად, რომელსაც ინდუსტრიულად განვითრებული ქვეყნისთვის ტრადიციული რაციონი აქვს, ყოველდღიურად, 2500-3000 ლიტრი წყალი იხარჯება. უნდა ითქვას, რომ მტკნარი წყალი ამჟამადაც არ არის საკმარისი ყველასთვის. სასმელი წლის უკმარისობას, დაახლოებით, მილიარდი ადამიანი განიცდის. თანაც, წყლის მეშვეობით ვრცელდება ინფექციურ დავადებათა 80%. ურბანიზაციის პორცესის დაჩქარებითა და ცხოვრების დონის ამაღლებით, წყლის ხარისხის მიმართ მოთხოვნაც იზრდება. როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის წარმომადგენლები აცხადებენ, წყლის პრობლემის მოგვარება შეიძლება, საჭიროა მხოლოდ რამდენიმე სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, უნდა დაიწყოს წყლის საცავების მასობრივი მშენებლობები, უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ წვიმის წყალი მოსარწყავად და მოსახლეობაც ნელ-ნელა ნაკლებად ტენისმოყვარულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაზე უნდა გადავიდეს.

საჩუქრების მოყვარული თაღლითი დააკავეს

იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში, 39 წლის მამაკაცი ტაკასი მიიაგავა 35 ქალის მიმართ ჩადენილი თაღლითობისთვის დააკავეს. ის, თითქოსდა, ყოველი მათგანის შეყვარებული იყო. არადა, არც ერთს აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება მამაკაცისთვის ერთადერთი არ ყოფილიყო. თუმცა, საბოლოოდ, მაინც გამჟღავნდა სიმართლე და ქალებმა „კავალერს“ პოლიციაში უჩივლეს. როგორც გაირკვა, ასეთ ავანტიურაზე მამაკაცი საჩუქრების გამო წავიდა, რომელსაც მას დაბადების დღეზე ჩუქნიდნენ. დაბადების დღეც წელიწადში, რასაკვირველია, 35-ჯერ ჰქონდა. ამგვარად, ის „გულის სწორებისგან“ საჩუქრებსა და ფულს იღებდა. ჯერჯერობით, ამ საქმეში მხოლოდ 35 დაზარალებული ფიგურირებს, თუმცა არ არის გამორიცხული, მათი რიცხვი უფრო მეტი იყოს.

ყავა არასოდეს გამოგვეღლევა?

შესაძლოა, სულ მალე, ნატურალური ყავა სინთეტიკურმა, მოლეკულურმა ჩაანაცვლოს. ამ უნიკალურ პროდუქტზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ Atomo-ს ამერიკელი სტარტაპერები, სიეტლიდან. მათ შეძლეს ოთხ ათეულზე მეტი ნაერთის იდენტიფიცირება, რაც ნამდვილი ყავის შემადგენლობაშია და შექმნეს გემოთი, ფერით, არომატით და ორგანიზმზე ზემოქმედებით აბსოლუტურად ანალოგიური მოლეკულები. როგორც სწავლულები ამბობენ, რძისა და ხორცის შემცვლელებისგან განსხვავებით, მათი პროდუქტი, სასარგებლო თვისებებით, არაფრით ჩამოუვარდება „წინაპარს“. ამასთან, მისი წარმოებაც არ იქნება დიდად ხარჯიანი, რადგან ყავის მოლეკულური ანალოგის კომპონენტები ძვირი არ ღირს. გამოყვანა და გადამუშავებაც არ საჭიროებს დიდ შრომას. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ყავა არასდროს გამოილევა, მისი მარაგები არასდროს ამოიწურება. მოლეკულური ყავა მხოლოდ მარცვლებში იქნება, რადგან სწორედ მას აფასებენ ყავის ნამდვილი მოყვარულები. როდის გამოჩნდება ყავის ანალოგი ბაზარზე, ჯერჯერობით, უცნობია.

ხელით წერა მეხსიერებას ანვითარებს

სწავლულებმა, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან, აღმოაჩინეს, რომ ხელით წერისას, ბავშვის მეხსიერება უფრო მეტად ვითარდება, ვიდრე კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის დროს. კვლევაში 20 ბავშვი და ახალგაზრდა მონაწილეობდა. მათი ტვინის აქტივობას თავზე სპეციალური ჩაფხუტის მეშვეობით აკვირდებოდნენ. 45 წუთის განმავლობაში, მათი ერთი ნაწილი ტექსტს კლავიატურაზე აწყობდა, დანარჩენები კი ხელით წერდნენ. აღმოჩნდა, რომ სწორედ ხელით წერისას წარმოიქმნება ტვინში ის აქტივობები, რაც მოგონებების ფორმირებისა და შენარჩუნებისთვისაა საჭირო. სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბავშვებს მეტი ინორმაცია ამახსოვრდებათ, თუ მას ხელით დაწერენ. ამასთან, ტვინი ინტენსიურად იტვირთება, რის შედეგადაც ის ვითარდება.

სტაფილო – სისხლის გამწმენდი

სისხლში ტოქსინების, მიკრობებისა და მძიმე მეტალების დაგროვება ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს. ამ მავნე ელემენტების გამოდევნას ხელს უწყობს სწორი კვება – ამბობენ სპეციალისტები. ამ პროცესში პირველი მნიშვნელოვანი პროდუქტია სტაფილო, რომელიც შეიცავს ა, ბე, ცე და კა-ვიტამინებს, ასევე ცილა გლუტატინს, რომელიც შესანიშნავად წმენდს ღვიძლს და ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. სისხლის გაწმენდას ხელს უწყობს ვაშლი, რომელიც პექტინს შეიცავს – ის მძიმე მეტალებისა და ქოლესტერინისგან წმენდს ორგანიზმს. სასარგებლოა გოგრა, რადგან მასში გოგირდი და უამრავი ანტიოქსიდანტია.

მწეველებს კიბოსგან მოცვი დაიცავს

მოცვი, ვაშლი და ბროკოლი შესანიშნავი საშუალებაა მწეველი ადამიანებისთვის სიმსივნისგან თავის დასაცავად – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი სპეციალისტები. ფლავანოიდებით მდიდარი ეს პროდუქტები ნიკოტინზე დამოკიდებულ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგანაც დაიცავს. სწავლულების ექსპერიმენტში 56-დან 60 წლის ასაკამდე, 55 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მონაცემების გაანალიზებით, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სიმსივნით დაავადების რისკს აქვეითებს ჩაი და ფორთოხალი.

პენსიონერებს ნაგვის ურნებით დააკვირდებიან

დიდ ბრიტანეთში, ცოტა ხანში, ახალი ნაგვის ურნები გამოჩნდება, რომელიც დააკვირდება იმას, რომ ასაკოვანმა მოსახლეობამ რეგულარულად გადაყაროს ნაგავი. იმ შემთხვევაში, თუკი პენსიონერი არ გაავსებს კონტეინერს ორი კვირის განმავლობაში, ურნაში ჩამონტაჟებული მოწყობილობა ამის თაობაზე მედიცინის მუშაკებს აცნობებს. სენსორებიან კონტეინერებს უკვე იყენებენ ქალაქ ბათში და ჩრდილო-აღმოსავლეთ სომერსეტში. ის საშუალებას აძლევს ნარჩენებისა და უტილიზაციის სამსახურებს, გაიგონ, სავსეა თუ არა ურნები. ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ მომდევნო ათი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ყველა ნაგვის კონტეინერი ასეთი მოწყობილობით იქნება აღჭურვილი, რაც მუნიციპალიტეტებს დიდ თანხას დააზოგინებს.

ARAYI KANAFIT

კალიფორნიული კომპანია Humboldt Distillery, არაყს კანაფის არომატით ჰყიდის. ალკოჰოლური სასმელის ახალი სახეობა ნარკოტიკულ ნივთიერებას ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს, რადგან მწარმოებლებს არ უნდოდათ შტატის კანონების დარღვევა. ამის მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენლების თქმით, არაყს „მარიხუანას“ არომატი მშვენივრად ეტყობა. „ბოლო დროს, არაყი ძალიან პოპულარული გახდა. გვთხოვდნენ, რომ ის „განსაკუთრებული“ გემოთი გამოგვეშვა. ჩვენ მომხმარებლის სურვილი შევასრულეთ ისე, რომ კანონი არ დაგვირღვევია“, – აცხადებს ფირმის მფლობელი.

შავი ბრინჯი სიმსუქნის წინააღმდეგ

როგორც სწავლულები ამტკიცებენ, ეს პროდუქტი ხელს უწყობს ცხიმოვანი დაგროვებების მოშორებას. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, საკვებად შავი ბრინჯის დამატება, ღვიძლში ცხიმების წარმოქმნის პროცესს აჩერებდა იმ მღრღნელებშიც კი, რომელთაც სპეციალურად კალორიული კვება ჰქონდათ. პრალელურად, ცხოველებში ქოლესტერინის დონის კლებაც დაფიქსირდა. მკვლევართა თქმით, შავ ბრინჯს საკმაოდ დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს, ამასთან ის ნოყიერია და დიდი რაოდენობით უჯრედისს შეიცავს. თეთრ ბრინჯს კი, პირიქით, დიდი გლიკემიური ინდექსი აქვს, რაც დიაბეტის განვითარების რისკს ქმნის. ამიტომ, გახდომის მსურველებს, სწავლულები ურჩვენ, რაციონში თეთრი ბრინჯი შავით ჩაანაცვლონ.

კერპთან დასამშვიდობებლად შვებულებაში უშვებენ

ტოკიოში მდებარე სარეკლამო კომპანია Hiroro, საკუთარ თანამშრომლებს ნებას აძლევს, ანაზღაურებადი ათდღიანი შვებულება აიღონ, თუკი მათი საყვარელი აიდოლი – ცნობილი პოპ-ჯგუფის წევრი სცენას ტოვებს. ამდენივე ხნით შეუძლიათ სამსახურიდან წასვლა ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაშიც – იაპონელი დამსაქმებლები ორივე მოვლენას აფასებენ, როგორც სერიოზულ დანაკარგს. ზოგიერთი ადამიანი ხომ წლობით არის ამა თუ იმ მომღერლის ფანი და მათი ახალი სიმღერებისა და კლიპების გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. იაპონური პოპის ინდუსტრია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა და ქვეყნის მცხოვრებლებზე დიდი გავლენა აქვს. ჭეშმარიტი ფავორიტი მხოლოდ ერთი არტისტი შეიძლება იყოს. ხოლო თუ საყვარელი მომღერლების სიაში მეორე და მესამე ადგილზე მყოფი შემსრულებლები ტოვებენ შოუ-ბიზნესს, შვებულება მხოლოდ სამდღიანია. კომპანიის ხელმძღვანელის თქმით, აიდოლის დაკარგვამ იაპონელი შეიძლება იმ დონემდე დაამწუხროს, რომ მას ფსიქოლოგიური დახმარება დასჭირდეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.